გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N9 (9260) | 31 მარტი 2018 წელი | ფასი 50 თეთრი

8 აპრილს აღდგომაა!



2

გაღმა ზონის სოფლის სკოლებში
ვერხვიანი თვალწარმტაცად მოიწყობა

6 ზვიად გამსახურდია 79 წლისა გახდებოდა

ფასები და ხელფასები

5

3

მიძინებულ მავნებელთან მაღვიძებამდე საბრძოლველად

„ფარის" ძილი წარმატება

6

7

ფრანგი სტუმარი პირველ სკოლაში

გაღმა ზონის სოფლის სკოლები ვალერიანე ფოცხვერიამ მოინახულა

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია გაღმა ზონის სოფლის სკოლებს ესტუმრა და იქ არსებული ინფრასტრუქტურა დაათვალიერა. გამგებლის ვიზიტის მიზანს სკოლების პრობლემებით დაინტერესება და მათზე დროული რეაგირება წარმოადგენდა. ამიტომაც ყველა სკოლაში სტუმრობა იწყებოდა შეკითხვით: რა გჭირდებათ? ოფეთის პირველ საჯარო სკოლას წყლის პრობლემა აქვს, სკოლის დირექტორმა, მზევინარ თარგამაძემ მერს დახმარება სთხოვა. გაღმა ზონის სოფლების სკოლების მთავარი პრობლემა მცირე კონტინგენტია, ბავშვების ოფეთის სკოლებამდე მიყვანას და სახლში დაბრუნებას განათლების სამინისტროს მიერ დანიშნული ტრანსპორტი უზრუნველყოფს. სკოლები კეთილმოწყობილია, თუმცა, მოსწავლეთა რაოდენობა მაინც მცირეა. ოფეთის სკოლაში 15 მოსწავლეა. სკოლას რემონტი ახლახან ჩაუტარდა. 37 მოსწავლეა ოფეთის მეორე საჯარო სკოლაში, სკოლა 1975 წელს გაიხსნა, როგორც სკოლის დირექტორმა, ლალი ნადირაძემ, გვითხრა, კეთილმოწყობილ შენობას რემონტი ყოველწლიურად უტარდება. ბოლო ხანს გარემონტდა რამდენიმე კაბინეტი, მათთვის მთავარი პრობლემა სოფლიდან ხალხის მიგრაცია რჩება, რაც კონტინგენტს ამცირებს. მეექვსე და მერვე კლასებში თითო მოსწავლეა, რაც, თავისთავად, მოსწავლის განათლების ხარისხის ამაღლებას ნამდვილად ხელს უწყობს.

ტარიელ თევზაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ოფეთის თემიდან: "სამი წელია, სისტემატიურად მიმდინარეობს სკოლის რემონტი, ყურადღება ექცევა მას, ფასადი გაილესა, ძველი კარ-ფანჯარა ახალი მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრით შეიცვალა, შეიცვალა და განახლდა ინვენტარი, სასკოლო და სამასწავლებლო ოთახები მოწესრიგებულია, თვალშისაცემია სისუფთავე და წესრიგი".

სოფელ წიაღუბნის საჯარო სკოლის მთელი კონტინგენტი სტუმრებს სკოლის წინ შეეგება, ერთსართულიანი ხის სკოლა ას ბავშვზეა გათვლილი, მაგრამ დღეს აქ 11 ბავშვი ღებულობს ცოდნას. სკოლის დირექტორის, მანანა თევზაძის თქმით, სკოლის შენობა 2009 წელს აშენდა, სკოლაში ყველაფერი წესრიგშია, აქვთ მინიფეხბურთის სტადიონი, სველი წერტილებიც მოწესრიგებულია, მხოლოდ კოსმეტიკურ რემონტს თუ საჭიროებს. გაღმა ზონის სოფლებში მერთან ერთად იმყოფებოდნენ ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია და საგანმანათლებლო რესურსცენტრის

მთავარი სპეციალისტი, ალექსანდრე თევზაძე.

ვალერიანე ფოცხვერია: "ახლა გაზაფხულია, ზამთრის შემდეგ ყოველთვის საჭიროებს მაღალმთიანი სოფლების გზები შეკეთებას, აწუხებს ამ სოფლებს უგზოობა, სკოლებში ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია, აქვთ სითბო. ჩვენი ამოსვლის მიზანია, სოფლის ინფრასტრუქტურა დავათვალიეროთ _ ეს არის გზა, რომელიც არის მოსაწესრიგებელი და წყალი. კომუნისტების შემდეგ კაპიტალური რემონტი წყლის სისტემას არ ჩატარებია, ვიწყებთ გზებზე ტრადიციულად მოხრეშვით სამუშაოებს, ასევე წლევანდელ წელს პირველად დავიწყებთ ბეტონის გზის დაგებას, თითოეულ სოფელში პირველ ეტაპზე 500-500 მეტრია გათვალისწინებული, ესენია გაღმა ზონის სოფლები: ნიგორზღვა, ოფეთი, გამოჩინებული და გორმაღალი. ოფეთის სკოლის წყლის პრობლემა მოგვარებადია, მომავალ სასწავლო წელს პრობლემა არ ექნება." მერიის წარმომადგენელი ოფეთის ადმინისტრაციულ ერთეულში თემურ ჩხაიძეა. ბატონმა თემურმა ოფეთის პირველ სკოლაში 8 წელი ისწავლა, 1997 წელს, სკოლა რომ დაამთავრა, იხსენებს, რომ აქ 250 ბავშვი სწავლობდა. ჩვენს კითხვაზე, როგორ იცნობს ამ სკოლის პრობლემებს და რა გზები არსებობს მათ გადასაჭრელად, თემურ ჩხაიძე გვპასუხობს: " სოფელში წყარო არის 300 მეტრზე, შეიძლება სათავე ნაგებობის მოწყობა, ორტონიანი ავზის დადგმა და სკოლის მომარაგება. ამ სკოლას აქვს ისეთი პრობლემები, რაც ყველა მაღალმთიან სკოლას, ეს არის ბავშვთა კონტინგენტი, მაგრამ სოფლებში ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება, ხვალინდელი დღე ბევრად უფრო იმედიანი იქნება".

ალექსანდრე თევზაძე: "მერის ინიციატივით, ოფეთის თემში სამივე სკოლა მოვინახულეთ, ჩვენი მიზანი იყო, დაგვეთვალიერებინა მატერიალურ- ტექნიკური ბაზა, მოგვესმინა დირექტორების აზრი, ამ სკოლებში, ძირითადად, მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა და საჭიროების შემთხვევაში ჩაერთვება ადგილობრივი ხელისუფლება."

მასწავლებლების გამოცდებისთვის

დასრულდა მასწავლებელთა კომპეტენციის დადასტურებასა და საგნის გამოცდაზე რეგისტრაცია. იგი მიმდინარე წლის 5 მარტიდან 30 მარტამდე პერიოდს მოიცავდა. როგორც სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი ალექსანდრე თევზაძე აღნიშნავს: "პრაქტიკოსი მასწავლებლების რეგისტრაცია ამჯერად რესურსცენტრის გვერდის ავლით ხდება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მონაცემთა ბაზაში მათზე შესაბამისი ინფორმაცია არსებობს და თვითონვე ახდენენ რეგისტრაციას. პრაქტიკოს მასწავლებლებს საშუალება აქვთ, საგნის კომპეტენციის გარდა, პროფესიული კომპეტენციაც დაადასტურონ.

პედაგოგობის მსურველი აპლიკანტები კი ჩვენთან დარეგისტრირდნენ. ისინი მხოლოდ საგნის გამოცდას ჩააბარებენ. პრაქტიკოსი მასწავლებლებისაგან განსხვავებით არ მოუწევთ, უნარ-ჩვევებშიც ჩააბარონ გამოცდა. რესურსცენტრში, მიმდინარე წელს, პედაგოგობის 36 მსურველი დარეგისტრირდა. აქტიურობენ ახალგაზრდები. მათ შორის არიან პედაგოგის კვალიფიკაციის არქმონე პირები, რომელთაც საგნის ჩაბარების შემდეგ მოუწევთ 60 კრედიტიანი ერთწლიანი პროგრამის გავლა იმ უმაღლეს სასწავლებლებში, რომელთაც ეს პროგრამა გააჩნიათ. იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმატებით ჩააბარებენ საგნის გამოცდას და მაღალ ქულებს მოიპოვებენ, სახელმწიფო მათ საკრედიტო პროგრამის ფარგლებში დააფინანსებთ".

როგორც მოსალოდნელი იყო, პედაგოგობის მსურველ აპლიკანტებს შორის ქალბატონები სჭარბობენ. მამაკაცებს შორის მხოლოდ აკაკი წულაია და ვახტანგ ფოცხვერიაა. აკაკი წულაიას რესურსცენტრში დარეგისტრირების დროს შევხვდით. მან წარმატებით დაამთავრა სამტრედიის მე-7 საჯარო სკოლა, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თავისი სპეციალობით, ეკონომიკის განხრით, სწავლას მაგისტრატურაში აგრძელებს.

"საკმაოდ კარგად ვფლობ ინგლისურ ენას და მინდა, გამოცდა ამ საგანში ჩავაბარო: _ ამბობს ის. _ "ცოდნის მიღება ყოველთვის არის შესაძლებელი და როგორც ერთ-ერთი ალტერნატივა, აქაც მინდა ვცადო. ვფიქრობ, არ გამიჭირდება პედაგოგობა და მოსწავლეებთან საერთო ენის გამონახვა".

ქეთევან ჭელიძე

№54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისია გაცნობებთ, რომ იწყება "საარჩევნო ადმინისტრატორის სასწავლო კურსები" საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის

ცესკო და სწავლების ცენტრი, 2018 წლის 14 მაისიდან 2 ივნისამდე პერიოდში, საქართველოს მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტში განახორციელებს სასწავლო პროექტს "საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები".

პროექტის ფარგლებში სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული საინფორმაციო-სასწავლო კურსი ითვალისწინებს პროფილურ სწავლებას. სამდღიანი სასწავლო პროგრამა ეთმობა კენჭისყრის დღის პროცედურებისა და საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების შესწავლას და მიზნად ისახავს საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიციური საკადრო რესურსის ფორმირების ხელშეწყობას.

სასწავლო პროგრამაში გამოყენებული პრაქტიკული სწავლების ფორმატში მონაწილეები გაეცნობიან ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა:

კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები;
კენჭისყრის პროცესი, საარჩევნო უბნის დახურვა;
საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები;
საარჩევნო ყუთის გახსნა;
კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე ჩასატარებელი პროცედურები;
კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა, შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა.

"საარჩევნო ადმინისტრატორის სასწავლო კურსების" ჩატარებას უზრუნველყოფენ სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებული საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები და საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერები.

სასწავლო კურსის გავლა შეუძლია საქართველოს მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, სასურველია პროექტში მონაწილეობის მსურველ პირს გააჩნდეს საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის გამოცდილება, არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობის გამოცდილება, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი ან/და საარჩევნო განვითარების სკოლის სერტიფიკატი.

პროექტში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია ხორციელდება 2018 წლის 10 აპრილიდან 20 აპრილის ჩათვლით პერიოდში, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა. რეგისტრაციისთვის საჭიროა პროექტში მონაწილეობის მსურველმა პირმა შეავსოს აპლიკაცია და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად წარადგინოს პროექტის განხორციელების ადგილის მიხედვით № 54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

მისამართი: რაზმაძის ქ. № 6; (2-ე სართული).

მიძინებული მავნებელთან მალვიძებამდე საბრძოლველად

თეა ბაბუნაშვილი

გაზაფხული გლეხს მინდვრისკენ კი ეძალება და არც მას სჭირდება შეხსენება, რომ ხვნა-თესვისთვის მოსამზადებელი სამუშაოების დროა, მაგრამ ფაროსანა საგონებელში აგდებს გლეხკაცსაც და ქვეყანასაც.

თუ შარშან დააგვიანა, წელს დროულად შეუდგა შესაბამისი სტრუქტურები მავნებელთან ბრძოლისთვის საჭირო ზზების ძიებას. უფრო სწორად, ზზები ნანახია, სათანადო ღონისძიებების გატარებაა საჭირო და თადარიგის დასაჭერად აბაშაში მიიწვიეს სამტრედიელები. მუნიციპალიტეტის მერი და ცალკეულ თემში მერის წარმომადგენლები აბაშის მექანიზაციის ცენტრს, სადაც აზიურ ფაროსანასთან მებრძოლი შტაბია განთავსებული, გარკვეული კონსულტაციების მისაღებად ეწვივნენ.

შტაბის წევრმა ლაშა შალამბერიძემ საუბრისას განაცხადა, რომ თუ გასულ წელს საქართველოში მავნებელთან მებრძოლი თერმული ნისლისა და ცივი შესხურების 12 ერთეული ტექნიკა იყო, წელს მისი რიცხვი 150-მდე გაიზარდა. თერმული ნისლი, რომელიც არ არის მავნებელი ჯანმრთელობისათვის, უზრუნველყოფს შეწამვლით სამუშაოებს სოფლის ტერიტორიაზე, ხოლო ცივი შესხურება, მასივებსა და ტყიდან სოფელში მიგრაციისთვის გამოსული მავნებლისთვისაა განკუთვნილი. იგი ტყის მასივს გარედან შეწამლავს, რადგან ტყის შიგნით შეწამვლა აკრძალულია მისი სხვა ბინადრების განადგურების თავიდან ასაცილებლად. რაც შეეხება ვერტმფრენს, მართალია, იგი ჰყავს შესაბამის სამსახურებს, მაგრამ ვერტმფრენით მხოლოდ დიდი მასივები შეიწამლება. შეწამვლის პროცესში აუცილებელია ეკოლოგიური ნორმების დაცვა, შესაწამლი ადგილების რელიეფის გათვალისწინება, რადგან შეწამვლამ შეიძლება იმოქმედოს მდინარეებსა და მათ ბინადრებზე. როგორც ლაშა შალამბერიძე განმარტავს: "სახელმწიფომ გასულ წელს დაურიგა მოსახლეობას შესაწამლი პრეპარატი. წელს კი მათთვის ხელმისაწვდომია ბიფეტრინის შემცველი ნებისმიერი პრეპარატის შეძენა, რომელიც ძალიან ეფექტურია აზიური მავნებლის წინააღმდეგ. სახელმწიფო მასზე დაკისრებულ მოვალეობებს შეასრულებს, მაგრამ უპირველესად თავად ფერმერებმა, გლეხებმა უნდა იზრუნონ ამაზე. ისე ყველა ცდა ფუჭი იქნება."

შეხვედრაზე არაერთგზის აღინიშნა, სახელმწიფო ზრუნავს იმაზე, რომ ეკონომიკური ზარალი მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი. გამომდინარე იქიდან, რომ აზიურ ფაროსანასთან ბრძოლა ადვილი საქმე არაა, პროგრამა არა ერთი, არამედ მრავალწლიანია.

განმარტებები ფაროსანას გასანადგურებლად სამურაი კრაზანას შემოყვანის შესახებაც გაკეთდა. ეს შესაბამისი სამეცნიერო კვლევების გარეშე ვერ მოხდება და ზოგადად ასე ადვილად განსახორციელებელი არ გახლავთ. ასე რომ, გარკვეული კვლევების გარეშე მისი შემოყვანა არ მოიაზრება.

სამტრედიიდან აბაშაში ჩასულებს დეტალურად გააცნეს ის ღონისძიებები, რაზეც შტაბი იმუშავებს. არაერთხელ აღნიშნეს, რომ ამ პროცესში მოსახლეობის სწორად ჩართულობა გადამწყვეტია, მით უფრო ამ ეტაპზე, როცა მავნებელი "იღვიძებს".

"სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დასავლეთ საქართველოში ფაროსანას საწინააღმდეგოდ მებრძოლი ტექნიკა აბაშის მუნიციპალიტეტის მექანიზაციის ცენტრშია დისლოცირებული. ჩვენ აქედან მივიღებთ მას და ამასთანავე საჭირო რჩევებს მოგვცემენ მავნებლის წინააღმდეგ საბრძოლველად. აუცილებელია, მოსახლეობა სახელმწიფოს დაეხმაროს ამ მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლაში, თორემ ისე შედეგს ძნელად ან ვერ მივაღწევთ. ეს შეხვედრა სურსათის უვნებლობის სამსახურის მიერ გახლავთ ორგანიზებული. ყველა თემის წარმომადგენელი ესწრება მას მოსახლეობისთვის საჭირო ინფორმაციის მისაწოდებლად. რაც შეეხება სამტრედიას, გასულ წელს რიგ სოფლებში დაფიქსირდა ფაროსანას ჭარბი რაოდენობა. მათ შორის არის გაღმა ზონაშიც. ჯერ "ძინავს" ფაროსანას, მაგრამ მალე იგი გააქტიურდება და ჩვენც გავაქტიურდებით მის წინააღმდეგ." _ აღნიშნა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ.

"ტექნიკით, წამლით, ყველა საჭირო საშუალებით აღჭურვილი ვართ, გაწერილია შესაბამისი გეგმა-გრაფიკი. მთავარია, ყველა საჭირო ღონისძიება დროულად გატარდეს. მოსახლეობას მინდა ვთხოვო, რომ თავად მიხედონ თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებს, მით უმეტეს, რომ ამისთვის ყველა საჭირო პრეპარატი და ტექნიკა მათთვის ხელმისაწვდომია. რაც შეეხება მასიურ ფართობებს, მათ სახელმწიფო მიხედავს." _ განაცხადა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მართვის, სივრცითი მოწყობისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ნოე ივანიაძემ.

იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონი, მათ შორის, ბუნებრივია, სამტრედია, სურსათის ეროვნული სააგენტოს რისკებისა და რეაგირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ლევან თოლორდავას ზედამხედველობის არეშია. როგორც მან აღნიშნა, მოსახლეობის ან სოფლებისა და თემების ხელმძღვანელების ყველა შეტყობინებაზე რეაგირებისთვის მზად არიან. თითოეულ სოფელში იმდენჯერ ჩავლენ და ჩაატარებენ შესაბამის სამუშაოებს, რამდენჯერაც ეს საჭირო იქნება. შეხვედრაზე ხაზი გაესვა შეწამვლისას მოსახლეობის მხრიდან უსაფრთხოების ნორმების მკაცრად დაცვის აუცილებლობას

"გამოღვიძებულმა" აზიურმა მავნებელმა სწორედ ამ თემაზე საუბრის დროს "ჩაისეირნა" ზუსტად იმ მაგიდაზე, რომლის გარშემოც მის წინააღმდეგ დარაზმულები ისხდნენ. ბუნებრივია, ეს მისი ბოლო გასეირნება გახლდათ და კიდევ რამდენიმე გაუქვა მის გზას, ერთი მათგანი თვით მერმაც კი გასრისა. ასე რომ, საუბრის დასასრულს თავად ფაროსანა აღმოჩნდა ბუნებრივი თვალსაჩინოება მის წინააღმდეგ ბრძოლისა.

ჩინეთიდან ამერიკაში

ლევან გაბეჩავა

ამერიკიდან შავი ზღვის გა(და)ვლით საქართველოში. ასეთია ძირითადად საქართველოში უკვე ესოდენ მოშინაურებული მავნებლის, აზიური ფაროსანას შემოსვლის მარშრუტი.

ბევრი ბევრს საუბრობს აზიური ფაროსანას საქართველოში რეალური თუ ხალხის მიერ გამოგონილი მეთოდებით მოხვედრის შესახებ.

ასე რომ, ფაროსანამ თავსატეხი ფერმერებს, ცალკეულ ადამიანებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებსაც გაუჩინა.

23 მარტს მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, მერის პირველი მოადგილე, ირაკლი სულავა, მერის მოადგილე დავით ბახტაძე, მერის წარმომადგენლები ქალაქში, დაბასა და სოფლებში, მერიის სამსახურის უფროსები და დაინტერესებული პირები სამუშაო თათბირზე შეიკრიბნენ.

სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი ხათუნა გოცირიძე და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ენტომოლოგი ზურაბ ხიდაშელი შეკრებილთ ამომწურავად ესაუბრნენ მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებზე, ბრძოლის მასობრიობის აუცილებლობაზე, საინფორმაციო კამპანიის სწორად წარმოებისა და რიგ სხვა საკითხებზე.

სტუმრებმა ამომწურავი პასუხი გასცეს სამტრედიელი ფერმერის, სულიკო თარგამაძის კითხვებს და შეკრებილთ კიდევ ერთხელ განუცხადეს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ყველა ქმედით ღონისძიებას განახორციელებს მავნებლის წინააღმდეგ, რათა მოსახლეობა მარტო არ დარჩეს ბუნების ამ ვერაგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

9 მარტი და... 9 აპრილი

“დაღუპულ მეგობრებს გამოვუცხადოთ თანაგრძნობა მათზე ზრუნვით და არა დატირებით”.

ეპიკური

29 წელი გავიდა 1989 წლის სისხლიანი 9 აპრილის შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარის ნაწილებმა ვანდალური აქტი განახორციელეს და საქართველოს დედაქალაქ თბილისში ტანკებით, ორლესული ნიჩბებითა და მომწამლავი გაზის გამოყენებით დაარბიეს მშვიდობიანი მომიტინგენი.

იყო მსხვერპლი, აუნაზღაურებელი.

ვინ იცის, მერამდენედ დაიღვარა მტრადმოსული ერთმორწმუნე რუსეთის მიერ უმანკო ქალ-ვაჟების სისხლი.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ერთ მუშტად შეკრა და გააერთიანა ტრაგედიმ სრულიად საქართველო.

თბილისში 9 აპრილს განვითარებული მოვლენები გახდა საბჭოეთის რღვევის დასაწყისი.

გავიდა სულ რაღაც 2 წელი 9 აპრილის მოვლენებიდან და უკვე დამოუკიდებლობა აღიდგინა საქართველომ, 1918 წლის 26 მაისის პოლიტიკური აქტის საფუძველზე.

წელთა სვლამ, დრომ ვერ გააფერმკრთალა 1989 წლის 9 აპრილის პოლიტიკური, მამულიშვილური აღტკინება, პირიქით, დროის სვლასთან ერთად მეტ მნიშვნელობას იძენს საოცრად ტრაგიკული, თუმცა მაინც ამაღლებული ის დღეები.

მოდის 9 აპრილი და სრულიად საქართველო თავს ხრის 9 აპრილს დაღუპული ჩვენი თანამემამულეების ნათელი ხსოვნის წინაშე, ყველაზე ძვირფასი _ სიცოცხლე რომ მიიტანეს ქვეყნის სამსხვერპლოზე.

29 წელი გავიდა 1989 წლის სისხლიანი 9 აპრილიდან.

არ ივიწყებენ გმირებს ჩვენში.

ლევან გაბეჩავა

8 აპრილს აღდგომაა!

აღდგომა იესო ქრისტეს “მკვდრეთით აღდგომის” აღსანიშნავი მთავარი დღესასწაულია.

იგი აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ, სავსე მთვარის მომდევნო კვირა დღეს, (ახალი სტილით 4 აპრილიდან 8 მაისამდე) დღესასწაულს წინ უსწრებს დიდმარხვა, რომელიც ამზადებს მორწმუნეებს აღდგომის შესახვედრად.

მორწმუნენი სააღდგომო კვერცხებს წითლად ღებავენ.

წითელი ფერი მათთვის ქრისტეს მიერ ადამიანთა კეთილდღეობისათვის დანთხეული სისხლის მოსაგონარია, კვერცხი კი, მარადიული სისცოცხლის სიმბოლო.

სააღდგომო დღესასწაული გრძელდება ერთ კვირას, ახალკვირამდე (ნათელ-კვირა, კვირაცხოველი).

მიმდინარე წელს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა 8 აპრილს (ახალი სტილით) აღნიშნება, ამ დღეს ყველა მოქმედ ტაძარში აღესრულება შესაბამისი ღვთისმსახურება.

აღდგომილმა მაცხოვარმა დაიცვას და გააძლიეროს ღვთისმშობლის წილხვედრი ჩვენი ქვეყანა და ღვთივკურთხეული ჩვენი ერი!

ლევან გაბეჩავა

7 აპრილს ხარებაა, გილოცავთ!

ტუბერკულოზი განკურნებადია

26 მარტს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალის ორგანიზებით განხორციელდა მორიგი აქცია. მესამე საჯარო სკოლის ხუთთა კომიტეტის წევრებმა მოხალისეების მიერ დამზადებული გვირილის ფორმის ბარათები დაარიგეს წარწერით: “ტუბერკულოზი განკურნებადია”.

სამტრედიის ფილიალმა 26 მარტის აქცია ტუბერკულოზთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს მიუძღვნა, რომელსაც მსოფლიო 24 მარტს აღნიშნავს.

“სამტრედიის მაცნე” დაუკავშირდა სწჯს სამტრედიის ადგილობრივი ფილიალის აღმასრულებელ მდივანს, ნათია პაპავას და დღის აქტივობა შეაფასებინა: “26 მარტის აქცია, ტუბერკულოზთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი, ემსახურებოდა საზოგადოების ცნობიერების გაზრდას და ინფორმაციულობის ამაღლებას. ჩვენი მოხალისეები კვირეულის ფარგლებში ავრცელებდნენ თავიანთი ხელით დამზადებულ ბარათებს და დაინტერესებულ პირებს იქვე აძლევდნენ განმარტებებს დაავადების პრევენციის შესახებ. გვირილა წარმოადგენს ტუბერკულოზთან ბრძოლის სიმბოლოს. კვლავ მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთლიან შემადგენლობას აქტიური მხარდაჭერისათვის”.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება წელს იუბილარია, რომელსაც 8 მაისს 100 წელი შეუსრულდება. სამტრედიის ადგილობრივი ფილიალი სოციალურ ღონისძიებებს გეგმავს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, ადგილობრივ ფილიალში ბენეფიციარებს ამანთებს გადაცემენ, ბინაზე მოვლის ჯგუფს ოჯახებში მიულოცავენ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

ნინო ანანიაშვილი

რკინიგზელები რკინიგზელთა ქალაქიდან

ლევან გაბეჩავა

“სამტრედიის მაცნესთან” დიდი ხანია თანამშრომლობს. წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება სამტრედიელთა წინაშე, მაგრამ მაინც გვსურს, ორიოდე თბილი სიტყვა ვთქვათ კაცზე, ვისაც შეუძლია სხვათა სიხარული, ტკივილი გაითავისოს, სალბუნად დაედოს მათ პრობლემებს, გზა გაუკაფოს ახალბედა კოლეგებს.

ვინც ბატონ რევაზ შამათავას იცნობს, ძნელად რომ დაიჯეროს მისი ასაკი, 87 წლისა ვარო, გვითხრა და ნამდვილად გავოცდით.

ხარკოვის ტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 60 წელი რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებას მოახმარა.

უამრავი მეგობარი შეიძინა კოლხური თავაზიანობით აღზრდილმა კაცმა, წუხს, ბევრი მათგანი დღეს რომ აღარაა ამქვეყნად.

საიუბილეო თარიღებისა თუ ღირსშესანიშნავი დღეების მოლოცვას ვერავინ მოასწრებს ბატონ რევაზს.

ჩუმად, უპრეტენზიოდ, დაუმადლებლად ასრულებს უაღრესად კეთილ მისიას _ წერს რკინიგზელთა მიღწევებზე, წარმატებებზე, მის მახვილ თვალსა და საღ გონებას მხედველობიდან არ რჩება იმ ადამიანთა გარჯა, მისებრ ჩუმად და ხარისხიანად რომ ასრულებენ მოვალეობას. არც სამზეოდან წასული კოლეგები ავიწყდება და ძალზე ხშირად თბილად იგონებს მათ.

ძმობისა და მეგობრობის ქალაქია სამტრედია, მერე რა, რომ ბატონი რეზო მკვიდრი სამტრედიელი არაა, მან ხომ ცხოვრების შეგნებული წლები სამტრედიაში გაატარა, რკინიგზელთა ქალაქის განვითარებას შესწირა ძალა და ღონე, გამოცდილება და დღესაც ჭაბუკური ენერგიით იღვწის ომისა და შრომის ვეტერანთა დასავლეთ საქართველოს ასოციაციის სამტრედიის ფილიალის ხელმძღვანელისა და შრომის დაცვის ტექნიკური ინსპექტორის თანამდებობებზე.

ღირსეული ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები კიდევ უფრო ულამაზებენ ისედაც ლამაზ, საოცრად მდიდარ ბიოგრაფიას.

ყოველ დილით აბაშიდან მოდის სამტრედიაში და სამუშაო საათების შემდეგ აბაშაშივე ბრუნდება.

ამჯერადაც წერილებით გვეწვია, როგორც იქნა, ჩვენს თხოვნაზე დავითანხმეთ და მისი პიროვნების შესახებაც დავაცდენინეთ ორიოდე სიტყვა.

დადის, ლამის, 150 წლის სამტრედიის ქუჩებში ჭარმაგი კაცი, “საპატიო რკინიგზელი”, ვისაც კანონიერად შეიძლება ვუწოდოთ ჩვენი ქალაქის მემატიანე, კაცი, გულით მოყვასის სიყვარულს თან რომ დაატარებს, რომლისგანაც მომავალმა თაობებმა ბევრი რომ უნდა ისწავლოს.

ფასები და ხელფასები

ლევან გაბეჩავა

18 ლარი საქონლის ხორცი, 80 თეთრი, 1 ლარი კილოგრამი კომბოსტო, 1,15 ლარი კარტოფილი, ხახვი, 5 ლარი ნიორი, 7 ლარი ყველი, 2, 2,5 ლარი ვაშლი... არა, რაიმე ჩემეული რეცეპტი არ გეგონოთ ბატონებო, უბრალოდ იმ აუცილებელი პროდუქტების ფასებია აქ მოხმობილი, ნორმალურ პირობებში ნორმალურმა ადამიანმა რომ უნდა მიიღოს როგორც კვების აუცილებელი რაციონი. ახლა კომუნალური გადასახადები, წამლები, გაუთვალისწინებელი ხარჯები და ან უმუშევრობა, ან მიზერული ხელფასები.

ცენტრალური მედიასაშუალებებიდან ცნობილია, რომ მაღალჩინოსნებმა, მინისტრებმა, მათმა მოადგილეებმა, დეპარტამენტის თავმჯდომარეებმა და ა. შ. ხელფასები გაიზარდეს, ხოლო...

ისიც ცნობილია, რომ წამყვან საბელმწიფოებში მხოლოდ რამდენიმე უწყების მინისტრს ჰყავს მოადგილეები, ჩვენთან, საქართველოში კი, ვითომდა ჰყვაოდეს ეკონომიკა, ყველა მინისტრს ჰყავს მოადგილე, თანაც რამდენიმე, თითოეულს უზარმაზარი ანაზღაურებით.

სამწუხაროა, რომ დასაქმების პრობლემა ქვეყანაში კვლავ პრობლემად რჩება, საკითხავია ერთი რამ, წინათ, კომუნისტების ეპოქაში, ბევრი წყეულს რომ ეძახის, განსაზღვრული იყო ხელფასის ზღვრული მინიმუმი, მეტი სიცხადისათვის, 70 ლარამდე ხელფასის მქონე ადამიანს არაფერი ექვითებოდა. დღეს კი, 100, 200, 400 ლარიან და 21 000 ლარიან მოხელეს ერთნაირად ექვითება ხელფასიდან თანხა.

მართალია, მოქმედი ხელისუფალნი ხშირად აფიქრებინებენ, რომ ხელისუფლება ხალხის მიერაა დაქირავებული და ხალხს ემსახურება, მაგრამ რიგ შემთხვევებში საკუთარ ოჯახზე, საკუთარ თავზე ზრუნვას უფრო ჰგავს ყოველივე.

ვიცით, გვწამს და გვჯერა, რომ მინისტრსა თუ სხვა მაღალჩინოსანს გაცილებით მეტი ხელფასი უნდა ჰქონდეს, ვიდრე ჩვეულებრივ მოხელეებს, მაგრამ ამ ჩვეულებრივმაც რომ ჩვეულებრივად და არაჩვეულებრივად რომ უნდა იარსებოს, სადავო არ უნდა იყოს.

გულწრფელად ვმადლობ ხელისუფლებას გამოხატვის უფლებით რომ აღგვჭურვა, მეც ეს უფლება გამოვიყენე, იქნებ გაითავისოს ვინმემ ჩვენი ეს ყოფითი (და არც ერთ შემთხვევაში პოლიტიკური) განაცხადი.

ცნობიერების ამაღლების საიმედო პროგნოზი

თეა ბაბუნაშვილი

წყლის რესურსების დასაცავად საერთაშორისოდ დაწესებულ იმ ერთ დღეს, ბუნებრივია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაც გამოეხმაურა. აღსანიშნად 22 მარტი დაწესდა, თორემ, წყლის რესურსებისა და ზოგადად გარემოს, ბუნების დაცვა, დედამიწაზე დასახლებულთა უპირველეს მოვალეობად რომ უნდა იქცეს, ამაზე ყველა სულიერი თანხმდება. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ცხოველები და ფრინველები უფრო უფრთხილდება ჩვენს საერთო სახლს, ვიდრე ადამიანი. საქართველო კიდევ უფრო დიდი გამონაკლისია იმ ქვეყნებს შორის, დედამიწას საკუთარი სახლივით რომ არ უვლის. თუმცა, იმ დღემ საიმედო პროგნოზის გაკეთების საშუალება ნამდვილად მოგვცა.

მერიის შენობიდან მხოლოდ მამაკაცები გავიდნენ. ქალბატონებს პატივი სცეს, მარტისა და გაზაფხულის გამო "აპატიეს", უფრო სწორად, თქვენს მაგივრობასაც ჩვენ გავწევთო, უთხრეს. მდინარეების მიმდებარედ არსებული ტერიტორიების დასასუფთავებლად მხოლოდ ისინი გაემართნენ და ამით შეუერთდნენ წყლის რესურსების დასაცავად გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გამართულ აქციას. თავდაპირველად მდინარე ჭურთავას ნაპირს მიადგნენ, მე-11 საჯარო სკოლის მიმდებარედ. კომუნალური სამსახურის მისამართით მადლობის თქმა კიდევ ერთხელ მოუწიათ, რადგან ხელებდაკაპიწებულებს დასასუფთავებელი არაფერი დახვდათ. შემდეგ გეზი ნაბაკევის თემის სოფელ ხუნჯულაურისკენ აიღეს, სადაც უნიკალური თვისებების მქონე წყარო ჩამოედინება. მსგავსი წყარო სამტრედიის ტერიტორიაზე სამგანაა, ნინოშვილის უბანში, ხიბლარის ქუჩასა და ხუნჯულაურში. სამკურნალო მინერალებით მდიდარ სასმელ წყალს მოსახლეობა სამივე მათგანიდან რეგულარულად ეზიდება. თითქმის არაფერი გახლდათ დასასუფთავებელი კულაშში, წმინდა ნაზარი ლეჟავას ტაძრის მიმდებარედ ჩამომავალი მდინარის ნაპირზეც. ხუნჯულაურში ჩასულებსაც ადგილობრივების ძალისხმევით დასუფთავებული დახვდათ წყაროს მიმდებარე ტერიტორია. აქ ასწლოვანი ხეების ჩეროში თითქმის ყოველთვის იკრიბებიან სოფლელები ზაფხულის ცხელი დღეებისა და საღამოების გრილად გასატარებლად. მერიის აპარატის უფროსმა, ბეჟან გეგეშიძემ აღნიშნა კიდეც, "წინა წლებში ნაგვის მოკრებას ვერ ავუდიოდით, ახლა მესამედიც არ არის. ეს ძალიან კარგია, მოსახლეობის თვითშეგნება მიდის იქამდე, რომ არ უნდა დაანაგვიანონ გარემო."

"მერიის მთელი შემადგენლობა ვუერთდებით აქციას, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღეს რომ ეძღვნება. ეს ჩვენი მოკრძალებული წვლილია. საერთოდ კი ადამიანებმა უნდა გავითავისოთ, რომ ბუნებაზე მიყენებული ზიანი, უპირველესად ჩვენვე დაგვაზიანებს." _ განაცხადა მერის პირველმა მოადგილემ, ირაკლი სულავამ.

"წყლის რესურსების დაბინძურების უპირველესი საშუალება ზედაპირული წყლების დაბინძურებაა, რასაც, ძირითადად, სასმელ და ზედაპირულ წყლებში საყოფაცხოვრებო და მყარი ნარჩენების მოხვედრა იწვევს. 22 მარტის, როგორც წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღის დანიშნულებას ამ აქციით ვუერთდებით." _ ამბობდა მერის მოადგილე, დავით ბახტაძე. მან საუბარში ხაზი გაუსვა იმასაც, რომ სამტრედიას გოგირდოვანი სამკურნალო წყლებით შეუძლია თავის მოწონება და სასურველია, ყველაფერი გავაკეთოთ ამ წიაღისეული სიმდიდრის პოპულარიზაციისთვის, მით უმეტეს, რომ, არც თუ ისე შორეულ წარსულში, სამტრედია ამ კუთხით რეალიზებული გახლდათ.

იმ დღეს შეგროვილი ნარჩენები, უპრეცედენტოდ ცოტა იყო. ეს კი გარემოს დასუფთავება-დანაგვიანების კუთხით ადამიანების ცნობიერების ამაღლებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ზვიად გამსახურდია 79 წლისა გახდებოდა

ნათია ნაცვლიშვილი

"შეგობრებო, ჩვენ ისინი ტყვიებს გვესვრიან, ჩვენ ყვავილები ვესროლოთ!" _ ამ ჰუმანური ფრაზითაც შევიდა ისტორიაში საქართველოს პირველი პრეზიდენტი. ლრმადმორწმუნე ქართველმა და ჭეშმარიტმა ქრისტიანმა საკუთარი ოპონენტები სატყვიოდ ვერ გაიმეტა, თავად კი, დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები რომ მოვიხმოთ, არც სიკვდილში ჰქონდა ბედი. მას სამეგრელოს ტყეში სიკვდილი და შემდეგ სამგზის დამარხვა ხვდა წილად.

2007 წელს ჩეჩნეთიდან სამშობლოში გადმოასვენეს მისი ტანჯული სხეული და მშობლიურ მიწას მიაბარეს. წლები გადის და მის სახელს დღითიდღე ემატება ბრწყინვალება. ზვიად გამსახურდიამ ჯერ კიდევ ბავშვობაში ააფრიალა მერაბ კოსტავასთან ერთად ეროვნული მოძრაობის დროშა, ამ ლიდერებმა სხვა თანამოაზრეებთან ერთად ერის გამოღვიძების მისია იკისრეს, გაუძღვნეს ციხეებსა და გადასახლებებს. გამსახურდიამ უზარმაზარი შრომა გასწია სამოქალაქო ცნობიერების გამოღვიძებაში, ჩაატარებინა პირველი მრავალპარტიული, არაკომუნისტური არჩევნები საქართველოში, ჩაატარა რეფერენდუმი, სადაც ქართველმა ერმა ხმათა უმრავლესობით დადებითი პასუხი გასცა დასმულ შეკითხვას: გსურთ თუ არა აღდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე? 1991 წლის ეს რეფერენდუმი, 31 მარტს, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს დაემთხვა. ერის ნამდვილი ზეიმი კი 1991 წლის 9 აპრილი იყო, როცა ზვიად გამსახურდიამ ეროვნული დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მისი კანონიერი ხელისუფლება იარაღით დაამხეს, პრეზიდენტს ბრალად სამშობლოს ღალატის უმძიმესი ბრალი დასდეს. დამხობის შემდეგ პრეზიდენტი ჯერ გროზნოშია, შემდეგ სამშობლოში ბრუნდება და მისი ტრაგიკული აღსასრულიც ახლოვდება. დათო ტურაშვილი მოგვიანებით დაწერს: "საქართველოში დაბრუნებული პირველი პრეზიდენტის გზა ერთნაირად ჰგავდა წიგნებში მთვარის შუქზე გადალახულ ადიდებულ ენგურს და ძველი კოლხური მითოსის რომელიღაც მისტერიას. შეიძლება ერთი შეხედვით ცოტა ველურ შთაბეჭდილებასაც ტოვებდეს მისი ცხოვრების ერთი სიკვდილისწინა ეპიზოდი, მეოცე საუკუნის ბოლოს, მაგრამ სწორედ ეს ეპიზოდი, მგონი, ყველაზე ბევრისმთქმელია პირადად ჩემთვის. როდესაც რუსეთის არმიის ნაწილებმა დასავლეთ საქართველოში შემოსვლა დაიწყეს, ზვიად გამსახურდია მისმა თანმხლებმა პირებმა მთიან სამეგრელოში აიყვანეს, ერთი ღამე მათ ტყეშიც კი გაატარეს, მაგრამ კარავში დაძინება შეუძლებელი იყო, რადგან ტყეში მოშიებული ნადირიც ბევრი იყო და პრეზიდენტი და მისი დაცვის წევრები მთელი ღამე ალმოდებული ჩირაღდნებით ცდილობდნენ მათ მოგერიებას. სამეგრელოში დასრულდა კიდეც საქართველოს პირველი პრეზიდენტის სიცოცხლე.... დანარჩენი მსოფლიოც მაშინ ისევე შეხვდა რუსულ აგრესიას, როგორც მანამდე ან მერე, რადგან უკვე, მშვენიერ სავარძელში მოკალათებული, ევროპისა თუ ამერიკის ვერც ერთი პრეზიდენტი ვერ წარმოიდგენდა მთიანი სამეგრელოს იმ ტყეს, სადაც მეოცე საუკუნის ბოლოს მათი ქართველი კოლეგა, ჩირაღდნით ხელში ებრძოდა ველურ სიბნელეს."კონსტანტინე გამსახურდია უმცროსი წერს: " აშშ-მ, მაგალითად, დიდხანს ვერ გაარკვია, უნდა თუ არა სსრკ-ს დაშლა, ხოლო ევროპის პოლიტიკოსები, როგორც დღეს, მაშინაც იგივე თამაშს თამაშობდნენ, რაც რუსეთისათვის სახის შენარჩუნებას გულისხმობდა, ზვიად გამსახურდიას რომ ეს დამპალი თამაში ეთამაშა, დღეს ალბათ სხვა გეოპოლიტიკური რეალობა გვექნებოდა, თუმცა ის გმირი არავის თვალში არ იქნებოდა დიდი ალბათობით."

მადლიერმა შთამომავლობამ მწერალს, მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს ზვიად გამსახურდიას მთაწმინდაზე მიუჩინა სამუდამო განსასვენებელი. პრეზიდენტმა საკაშვილმა, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე რამდენიმე დღით ადრე, გმირის წოდება მიანიჭა ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას. არსებობს ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდია, თუმცა ფილოლოგიაში. საზოგადოება იცნობს მის სამეცნიერო შრომებს. დასანანია, რომ გარდა ზუგდიდისა, არსად არსებობს ზვიად გამსახურდიას ძეგლი. თბილისში კი არ არის მისი სახელობის მცირე ქუჩაც კი. 31 მარტს ზვიად გამსახურდია 79 წლის გახდებოდა.

"ფარის" დიდი წარმატება

ქორეოგრაფიული ანსამბლი "ფარი" (პროდიუსერი მარიამ მარგ მარგველაშვილი, ხელმძღვანელი გენადი გრიგოლია) ახლახან დაბრუნდა გერმანიის ქალაქ დუისბურგიდან, სადაც მონაწილეობა მიიღო ძალიან პრესტიჟულ ფესტივალ-კონკურსში **"Duisburger Tanztage"**. ეს მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიება 10 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში 5000-მდე კონკურსანტი მონაწილეობდა, სამტრედიელმა მოცეკვავეებმა კომპეტენტური ჟიურის დიდი მოწონება დაიმსახურეს და უმაღლესი კატეგორიის დიპლომით **"HIGH-LEVEL"** დაჯილდოვდნენ. " სამტრედიის მაცნესთვის" ეს გამარჯვება განსაკუთრებით სასიხარულოა, რადგან ჩვენს დირექტორს, ბეჟან გოგიას ანსამბლის ამ მიღწევაში დიდი წვლილი მიუძღვის.



მაღამოსავით შევეხებით სელის ნატყვიარს

ასე დაასათაურეს ქუთაისის №8 საქალაქო ბიბლიოთეკაში გამართული ლამაზი ღონისძიება მისმა ორგანიზატორებმა.

ახალგაზრდა, ნიჭიერ პოეტებს, ბექა ფოცხვერიასა და ბექა ქებულაძეს, შეხვდნენ ამ დღეს ქუთათურები, ის ადამიანები, ჯავარიანი ლექსი რომ უყვართ.

პოეზიის საღამოზე პოეტებმა საკუთარი ლექსებით გაანებივრეს შეკრებილნი, რომლებიც კმაყოფილები ტოვებდნენ დარბაზს.

რაც შეეხება ბექა ფოცხვერიას, აქაოდა სამშობლოს სიყვარული საკუთარი სოფლიდან, ქალაქიდან იწყებაოდა, ამაღლებული პათოსით წაიკითხა ლექსი მშობლიურ სოფელზე, სამტრედიაზე, რასაც მოწონებით შეხვდა დარბაზი.

მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს ბექა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამთავრებს.

ნიჭიერი ახალგაზრდა, მომავალი სამართალმცოდნე არაერთ პროექტშია ჩართული.

კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი "სოხუმი" შეხვედრებს მართავს საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების ვაჟ მოსწავლეებს ძალადობის თემებზე ვესაუბრებითო, გვითხრა ბექა ფოცხვერიამ.

იმერეთის რეგიონის 9 მუნიციპალიტეტში გამართავს ბექა მსგავს შეხვედრებს, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების სრულქმნილ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.

კიდევ ერთ წარმატებას ვულოცავთ ბექას, გვწამს, იგი გაბედულ სიტყვას იტყვის მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის განვითარების საქმეში.

ლევან გაბეჩავა

ფრანგი სტუმარი პირველ სკოლაში

ნათია ნაცვლიშვილი

საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი და საქართველოში საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი კულტურისა და თანამშრომლობის დარგში, ჟან ივ ლავუარი და ამავე ინსტიტუტის ლინგვისტური და საგანმანათლებლო პროექტების კოორდინატორი, ქეთევან ქურციკიძე, სამტრედიის პირველ საჯარო სკოლას სტუმრობდნენ. ამ ინსტიტუტის მისია ფრანგული ენის შესწავლაში ხელშეწყობაა. პირველი სკოლა ამ საპატიო სტუმრების ინტერესის ქვეშ კარგა ხანია მოექცა. მართალია, ფრანგულს ქართულ სკოლებში გაზაფხული არ უდგას, მაგრამ ზოგ სკოლაში პედაგოგების უდიდეს ძალისხმევას მაინც თავისი გააქვს და ახალი თაობა პრესტიჟულობის, ელეგანტურობის, დახვეწილობის და ფუფუნების ენას მაინც სწავლობს.

სკოლის ფრანგულის პედაგოგის, ირმა ვაშაკიძის მოსწავლეები ენასაც კარგად სწავლობენ და არაერთ საინტერესო პროექტში არიან ჩართულნი. ამჯერად ერთწლიანი კურსით პირველ სკოლაში იმყოფება ფრანგულის პედაგოგი გოტიე კრეპტი, რომელიც სკოლის მოსწავლეებმა ძალიან შეიყვარეს. მოსწავლეები სტუმრებს საფრანგეთის დროშებითა და პლაკატებით ეზოშივე შეეგებნენ, შემდეგ ირმა ვაშაკიძემ მათ ის ოთახი დაათვალიერებინა, სადაც სხვადასხვა დროს ჩატარებული აქტივობების ფოტოკოლაჟი იყო წარმოდგენილი. მერე კი დარბაზში, ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე ჟან ივ ლავუარი და ქეთევან ქურციკიძე სიტყვით წარსდგნენ. ჟან ივ ლავუარი: "დიდი მადლობა, რომ მოგვიწვიეთ, მადლობა ქალბატონ დირექტორს ფრანგული ენის სწავლებაში ხელშეწყობის გამო, მოხარული ვარ, რომ შევძელი ამ სკოლაში სტუმრობა, პირველად ვარ სამტრედიაში, თუ წინათ დავდიოდით ბათუმსა და ქუთაისში, ახლა შეხვედრებს ვიწყებთ სამტრედიით. ასევე მინდა მადლობა გადავცე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, მათი სტუმრობა დიდი პატივია ჩვენთვის, გვინდა, სკოლის ფრანგული ენის კლუბს ლექსიკონი და ალბომები საჩუქრად გადავცეთ. ასევე აღვნიშნავ, რომ "ფრანკოფონია 2018-ის" კონკურსში თქვენი სკოლის მეათე კლასის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა, მოცემული სიტყვებით მათ უნდა შეექმნათ ფოტორომანი, ამ ბავშვებმა მესამე ადგილი მოიპოვეს. ირმა მასწავლებელი ფრანგული ენის სწავლების დედაბოძია ამ სკოლაში, მისი თავდადება რომ არა, აქ ფრანგული არ აღორძინდებოდა."

შემდეგ გამომსვლელმა შეკრებილ ახალგაზრდებს წარმოუდგინა არგუმენტები, თუ რატომ უნდა ისწავლონ მათ ფრანგული ენა. მისი თქმით, მოსწავლეებს ფრანგულ ენასთან და კულტურასთან ზიარებით ბევრი შესაძლებლობა ეძლევათ. ფრანგული ენა საზღვარგარეთ სწავლის საშუალებაა, ამ ენის ცოდნა ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, ისწავლონ საფრანგეთში, კანადაში, შვეიცარიაში ან ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს წევრ 779 წევრი უნივერსიტეტიდან ნებისმიერში, ისარგებლონ უნივერსიტეტში ჩაწერის მსოფლიოში ყველაზე დაბალი ტარიფებით, სოციალური დაზღვევით და საცხოვრებლით. _ ინგლისური ენის ცოდნა ის რეალობაა, რომელსაც ვერსად გავექცევით, მეც ხშირად მიწევს ამ ენაზე საუბარი, მაგრამ, რადგან ყველა ინგლისურად საუბრობს, ამ ყველა დანარჩენისაგან რომ გამოვირჩეოდეთ, უნდა ვიცოდეთ ფრანგული _ ურჩია შეკრებილთ ფრანგმა სტუმარმა. ქეთევან ქურციკიძე საინტერესო პრეზენტაციით თემაზე "რატომ უნდა ვისწავლოთ ფრანგული?" წარსდგა აუდიტორიის წინაშე. მან აღნიშნა: "საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის მისია, გარდა ფრანგულის სწავლების ხელშეწყობისა, არის კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა. ამ ინსტიტუტის მხარდაჭერით, ყოველწლიურად, მინიმუმ ერთი ხელოვანი მიემგზავრება კანის ფესტივალზე, წლეულს კანში მიემგზავრება რეჟისორი მარიამ ხაჭვანი, რომლის ფილმმა "დედე" დიდ წარმატებას მიაღწია. ჩვენ გვაქვს მედიათეკა, ეს უზარმაზარი ფონდია, ყველანაირი ლიტერატურის მსურველს ვაკმაყოფილებთ, რეგიონებიდან ხშირად გვსტუმრობენ მოსწავლეები მედიათეკაში. ამავე მედიათეკას აქვს ონლაინ პლატფორმა, რისი საშუალებითაც, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან აქვს მომხმარებელს წვდომა ჟურნალ-გაზეთებზე თუ აუდიო-ვიზუალურ მასალაზე... ფრანგული ენა, ინგლისურთან ერთად, ერთადერთი ევროპული ენაა, რომელზეც ხუთივე კონტინენტზე საუბრობენ, იგი 32 ქვეყნის ოფიციალური ენაა. ეს არის მრავალი საერთაშორისო და ევროპული ინსტიტუტის სამუშაო ენა (ბრიუსელში, სტრასბურგსა და ლუქსემბურგში). განსაკუთრებით იზიდავს საფრანგეთი სტუდენტებს, რადგან იქ სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლება უფასოა და მას საფრანგეთის მთავრობა აფინანსებს. სტუდენტი მხოლოდ მცირე ადმინისტრაციულ ხარჯებს იხდის. ფრანგული ინსტიტუტის ერთ-ერთი მისიაა ფრანგულის პოპულარიზაცია დაწყებით კლასებში, თერთმეტ სკოლაში დავაბრუნეთ ამ ენის სწავლება, ფრანკოფონიის თვეში ვთავაზობთ კონკურსებს, ყოველწლიურად 10 მასწავლებელს ვგზავნით საფრანგეთში."

გამომსვლელმა მოსწავლეების პასუხებიც მოისმინა მის შეკითხვაზე, თუ რატომ სურთ მათ ფრანგულის შესწავლა.

შემდეგ აუდიტორიამ საფრანგეთში მცხოვრები პოეტისა და მთარგმნელის, ღირსეული სამტრედიელის, ბაჩანა ჩაბრაძის ვიდეო-მიმართვა მოისმინა. ბაჩანა ჩაბრაძის წიგნის "ფრანგული შანსონი" პრეზენტაცია ამ სკოლაში სულ ცოტა ხნის წინ გაიმართა. ბაჩანა აუდიტორიას მიესალმა, ისაუბრა ფრანგული ინსტიტუტის როლზე და მთარგმნელობით საქმიანობაში გაწეული მხარდაჭერის გამო მადლობა გადაუხადა სტუმრებს. ბაჩანა ჩაბრაძე : " თარგმანის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია, როგორც დედნის პოპულარიზაციისთვის, ასევე ადგილობრივი ლიტერატურის განვითარებისთვის. თარგმნილი ტექსტები ამდიდრებს ჩვენს ლიტერატურას, გავლენას ახდენს მასზე. განსაკუთრებით_ პოეზიაზე. თარგმნილი პოეზია ხშირად განსაზღვრავს ჩვენს პოეტურ ენას, როგორც ფორმის მხრივ, ასევე თემატურ ასპექტში, პირიქითა თარგმანი, ქართულიდან ფრანგულისაკენ გაცილებით მწირია. დავასახელებდი გასტონ ბუაჩიძეს, რომლის წყალობით ფრანგულენოვან მკითხველს შეუძლია წაიკითხოს რუსთაველის, ვაჟას, გალაკტიონის, ნაწარმოებები. ასევე, "დათა თუთაშხია," რომლის ფრანგული თარგმანის წარდგენას მე დავესწარი პარიზში." საუბრის ბოლოს ბაჩანა ჩაბრაძემ წაიკითხა ლია სტურუას ლექსის "ტყეს, რომელიც მიყვარს" მისეული ფრანგული თარგმანი. შემდეგ სკოლის მოსწავლეებმა ფრანგული ჰიტები შეასრულეს და სტუმრების აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

პირველი სკოლის დირექტორი, ხათუნა ფაილაძე: "ძალიან დიდი პატივია ჩვენთვის თქვენი სტუმრობა, მადლობა ირმა მასწავლებელს, ეს დღე მისი დაუღალავი შრომის შედეგია, ცნობილია, რომ ჩვენს სკოლაში ფრანგულს მაღალ დონეზე ვასწავლით, დიდი მადლობა, რომ გაიზიარეთ ჩვენი სიხარული. მჯერა, მომავალში ჩვენი სკოლის აღსაზრდელები მეტად შეიყვარებენ ფრანგულ ენას და არ დარჩება მოსწავლე, ვინც არ ეზიარება ამ უნიკალური ენის სილამაზეს".

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგური: "მადლობა სტუმრებს, რომ მობრძანდით და დააფასეთ ეს სკოლა, სადაც მართლაც მაღალ დონეზე მიმდინარეობს ფრანგულის სწავლება, დიდი მადლობა ქალბატონებს, ირმას და ხათუნას, ამ მაღალ ნიშნულზე რომ აიყვანეს ფრანგულის სწავლება. იმედს ვიტოვებ, კიდევ გვექნება შეხვედრის საშუალება და უკეთეს ღონისძიებებს დავგეგმავთ".

შეხვედრას ასევე დაესწრნენ სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლები და ბაჩანა ჩაბრაძის დედა, ფრანგული ენის პედაგოგი, გულიკო გოგიტიძე-ჩაბრაძე.

გალაკტიონი და მუსიკა

გალაკტიონის პოეზია ის დიდებული სიმფონიაა, სადაც ჰარმონიულადაა შერწყმული პოეტის სათუთი სული და ძლიერი, ვაჟკაცური შემართება. მისი პოეზია უაღრესად ლირიკულია, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. პოეტის თითოეული ლექსის სილამაზე მის მუსიკალურობაში ვლინდება. ლექსის ბუნებას გალაკტიონი ასე ახასიათებს: "მუსიკა უპირველეს სოლოს ასრულებს ლექსში, განსაკუთრებულ ქართულ ლექსში". მისთვის პოეზია პირველ პლანზე დგას _ "პოეზია უპირველეს ყოვლისა", ამასთან პოეზიაში მთავარია მუსიკა.

გალაკტიონისათვის პოეზიაში ყველაფერს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რაც კი ლექსის მუსიკალურობას უწყობს ხელს. უბრალო ნაწილაკიც კი, თუ იგი ლექსის რიტმულობას, მუსიკალურობას დაიცავს, მისთვის ფასეულია.

როდესაც ვეცნობით მის შეხედულებებს ლექსის, პოეზიის მუსიკალობაზე, შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება: პოეტი ლექსის მუსიკალურობაში ძლიერ, ფართო აზრს დებს. მისთვის მუსიკალობა მარტო გარეგნული ფორმა კი არ არის, არამედ უფრო მეტია, უფრო ღრმაა.

ერთხელ ია ეკალაძემ მას თურმე უსაყვედურა: "შენი ლექსები არ იმღერება, შენს ლექსებში აზრია წინა პლანზე". პოეტმა მოუსმინა თავის ყოფილ მასწავლებელს და ბოლოს მოწიწებით უპასუხა: "განა აზრი მუსიკა არ არის?"

იგი ყველგან და ყველაფერში მუსიკას გრძნობდა. უბრალო ხმაურიც კი მასში თავისებურ ემოციებს იწვევდა, თავისებურად მომხიბლავი ხდებოდა და ამ მომხიბვლელობას პოეტი ხმაურის რიტმულობით, მუსიკალობით ხსნიდა. მას ხიბლავს ასევე შრომის სიმღერა. ხმაურიდან, რომელიც ლექსში მუსიკას უტოლდება, შეიძლება წარმოიქმნას უფრო დიდი, "გაფართოებული" მუსიკა და საფუძვლად დაედოს მთელ პოეზიას, შემდეგ მთელ მწერლობას.

პოეტის აზრით, მუსიკა და სილამაზე ის ძირითადი ხაზია, რომელიც მთელ პოეზიას უნდა გასდევდეს.

დიდმა კრიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ იოსებ იმედაშვილმა უწოდა გალაკტიონს "პოეზიაში გრძნობათა მეფე". ეს გრძნობები კი უშუალოდ იყო დაკავშირებული მისი ლექსების მუსიკალურობასთან. გალაკტიონი ბავშვობიდან გამოირჩეოდა მეტად მგრძნობიარე ხასიათით. მას მუდამ იტაცებდა ყველაფერი კარგი და მშვენიერი. არაერთი ლექსია მის მიერ მიძღვნილი მუსიკისადმი: "საახალწლო ეფემერა", "მუსიკა უეცარი", "მუსიკალური ფანტაზმა", "ვაგნერი", "სხვა ბეთჰოვენი", "კვნესის ვოლტორნი". მუსიკით სუნთქავს გალაკტიონის მთელი პოეზია. მისი თითოეული ლექსი იმ მუსიკალურ აკორდს მოგვაგონებს, რომლებიც ერთად ქმნიან დიდებულ სიმფონიას. მასში კი, პოეტის სიტყვით:

"ვულკანიური ორკესტრივით უნდა ისმოდეს,
გრძნობათა ჩვენთა და ოცნებათ ძლიერი ქნარი".

გალაკტიონის ლექსებზე XX საუკუნის მიწურულს ბევრი კარგი მუსიკა დაუწერიათ ქართველ კომპოზიტორებს.

1941 წლის დღიურში პოეტის ასეთ ჩანაწერს ვკითხულობთ: "1921 წელს, სწორედ ოცი წლის წინათ, ჩემი ლექსი "პოეზია უპირველეს ყოვლისა" _ სიტყვებზე დიმიტრი არაყიშვილმა დასწერა სიმღერა გუნდისათვის. მშვენიერი სიმღერა გამოვიდა. იგი შესრულებული იქნა გუნდის მიერ მწერალთა სასახლეში ტრადიციულ "პოეზიის დღის" საღამოზე.

გალაკტიონის აზრით, ქართული მუსიკა და ქართული ლექსი ერთმანეთში შერწყმის დროს უნდა ქმნიდნენ ისეთ მელოდიურ სიმღერას, რომელიც ანკარა წყაროსავით დაუსრულებლად იჩუხჩუხებს თაობიდან თაობაში. სწორედ ასეთი გახლდათ მისი სიმღერები: "წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო" _ გურამ ბზვანელი; "მრავალჟამიერ" _ თ. გვერდწითელი; "ქარი ქრის, ქარი ქრის" _ ჯ. სეფიაშვილი; "თეთრი ლაშქარი" _ ი. ბობოხიძე; "შემოდგომის ყვავილებს" _ ბ. კვერნაძე. ეს სიმღერები მუდამ ემახსოვრებათ და ეყვარებათ ქართველ ხალხს.

ირაკლი გრიგოლია

შრომა ყოველთვის დასაფასებელია!

თეა ბაბუნაშვილი

აურზაური ვის უკვირს იქ, სადაც ბავშვებია, არათუ ბევრი, თუნდაც, რამდენიმე! და თუ შენობა დიდფანჯრიანია ყურისწამღები ხმაურით, წყალი არ გაუვა, სკოლაა. მე-11 საჯარო სკოლის სტუმრები იმ დღეს განსხვავებულმა ჩანაფიქრმა გაგვხადა. სპორტული დარბაზი სავსე იყო მოსწავლეებითა და მასწავლებლებით, სპეციალურად მოწვეული სტუმრებით. განსხვავებული შეხვედრა მოუწყვეს აქაურებმა სკოლის ტექნიკურ პერსონალს _ დარაჯს, დამლაგებლებს, ანუ მათ, ვინც საკუთარ საქმეს ჩუმი ფუსფუსით ყოველთვის პასუხისმგებლობით ეკიდება. მათი ნაშრომი ერთი შეხედვით შეუმჩნეველია, მაგრამ თუ ერთხელ მაინც არ შეასრულებენ საკუთარ მოვალეობას, პრობლემა თვალშისაცემია. "მომეწონა თბილისის ერთ-ერთი სკოლის ეს იდეა და ჩვენს სკოლაში მისი განმეორება გადავწყვიტე. ნებისმიერი შრომა დასაფასებელია და დამლაგებლები ამის საუკეთესო მაგალითი არიან. ჩვენც ერთი ჩვეულებრივი დღე უჩვეულო გავხადეთ მათთვის. თუ მათ რეაქციას გავითვალისწინებთ, გამოგვივიდა გაგვეხარება ისინი. მადლობა მათ ჩვენთვის გაწეული შრომისთვის!" _ ამბობს სკოლის დირექტორი ლენა ხაჟალია. პედაგოგმა ეთერ სტურუამ დამლაგებლებისადმი კეთილი სურვილებით აღნიშნა, რომ სანამ სამსახურებს დაკარგავდნენ, ყველა მათგანს საკუთარი პროფესია ჰქონდა და საყვარელ საქმეს ემსახურებოდა.

"ღონისძიების შინაარსი რომ გავიგე, განსაკუთრებული ინტერესით წამოვედი თქვენთან. დასაფასებებლია ის სკოლა და პედაგოგები, სადაც ამგვარი იდეები აქვთ." _ განაცხადა საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარმა სპეციალისტმა ალეკო თევზაძემ და სხვა სკოლებსაც მოუწოდა, ამგვარად სცენ პატივი იმ ადამიანებს, ვისი შრომაც საჭირო და დასაფასებელია.

მოსწავლეებმა დიდ სითბო და სიყვარული გამოხატეს დარაჯების, გია ფესვიანიძის და დავით კოხრეიძის მისამართით. დავით კოხრეიძე მოსწავლეების მეგობარი დათო დარაჯია, ბევრი მათგანის პატარა საიდუმლოებები რომ იცის! შეიძლება ითქვას, რომ დათო დარაჯი ყველაზე საყვარელი პიროვნებაა სკოლაში მოსწავლეებისთვის.

მზია კობახიძე პროფესიით მშენებელი ინჟინერია. მუშაობდა კიდეც სენაკში ერთ-ერთ სამშენებლო ტრესტში. მერე დრომ ასე მოიტანა და... დღეს პატიოსანი შრომით შოულობს ცხოვრების სარჩოს. "მინდა ერთმანეთი გიყვარდეთ, მადლობა ბავშვებო დღევანდელი დღისთვის. მადლობა თქვენს პედაგოგებს ამ იდეისთვის!" _ უთხრა მან დარბაზში შეკრებილებს. არაერთი წელი რკინიგზის საავადმყოფოში ექთნად იმუშავა ციცინო შანიძემ. ზედმიწევნით კარგად ასრულებდა საკუთარ მოვალეობას. შტატების შემცირების შემდეგ, იძულებული გახდა, სამსახური სხვაგან მოეძებნა. და მოძებნა კიდეც მე-11 საჯარო სკოლაში, დამლაგებლად! მის გვერდით მასავით ჩუმად შრომობენ ლეილა გვილავა და ნათია ბურკაძე.

საკლასო ოთახები და ხმაურიანი დერეფნები რომ დაიცლება, მიჩუმდება, სამუშაო დღე მერე იწყება მათთვის. სუფთა გარემოს მყუდრო გარემოსთან პირდაპირი კავშირი რომ აქვს, ვინ არ იცის. ჰოდა, სკოლის სიმყუდროვის ნაწილი მათ ეკუთვნით. ამიტომაც გულწრფელად ნათქვამი მადლობა დამსახურებულად მიიღეს.

ტყის ბინადრებმა გაზაფხული გვახარეს

ნათია ნაცვლიშვილი

გაზაფხულდა და ქართული გაზაფხულის უკეთესი ოდა ძნელად წარმოსადგენია! საოცარი ენერგეტიკით და მუხტით შემოიყვანეს გაზაფხული მეთერთმეტე საჯარო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეებმა თავიანთი სკოლის დარბაზში! წარმოადგინეს მხიარული და ძალზე საინტერესო სპექტაკლი "ტყის ბინადრები". ამ ბავშვების დამრიგებელი ნაირა ქორიძეა, ერთ-ერთმა მშობელმა, ჟუკიანა ფოფხაძემ, რომელიც ნაირა ქორიძის შვილია, მშობლის ამპლუაში განსაკუთრებული მონდომება გამოიჩინა და პედაგოგ დედასთან ერთად შვილის თანაკლასელებს ლამაზი დღე აჩუქა. სცენარის ავტორი ლაშა ხურციაა, თანასცენარისტი და რეჟისორი, ჟუკიანა ფოფხაძე, მანვე მოირგო წამყვანის, ე. წ. მთქმელის მისია და არა მარტო... ვინაიდან სცენაზე უამრავი ფრინველი და ცხოველი იდგა, ფორმების შესაძენად მშობლები ოზურგეთის თეატრსაც კი ეწვივნენ, ზოგიერთი სამოსი პირველად ამ სპექტაკლისთვის შეიკერა.... ულამაზესი დეკორაცია ნამდვილი ტყის იმიტაციას ქმნიდა. ისეთი იშვიათი ცხოველიც კი მოიხმეს, როგორიცაა ავაზა. ყველა ცხოველი და ფრინველი აქ არის! მათთვის დამახასიათებელი წესებით, არც კინტოურის მოცეკვავე თხუნელები გვვევრს, არც "კარატისტი" ვირები, არც ბანანების ჭამით გართული მაიმუნები, აღარც მელიების ლაქუცი გვაოცებს, არც ნადირთა მეფის, ლომის მიერ მრავლისმეტყველად და მედიდურად დასმული შეკითხვა: ტყეში მბრძანებლის გარეშე რატომ გაზაფხულდა? მაგრამ ნიჭიერმა ცხოველებმა მახვილგონივრულად მიუგეს მბრძანებელს: "წელიწადის 4 დრო მეფეს არ ემორჩილება! ასეთი დინამიური, მხიარული და შინაარსობრივად დატვირთული სანახაობა უთუოდ წარმოაჩენს ამ მოსწავლეთა ნიჭიერებას და ფართო თვალსაწიერს. აღნიშვნის ღირსია თითოეული პატარა მსახიობის გამართული მეტყველება, პედაგოგ ნაირა ქორიძეს ამ თვალსაზრისით ძალზე ბევრი უშრომია და შედეგიც სახეზეა! ფინალურმა სიმღერამ ტყის ყველა ბინადრის ხმა შეიერთა და მეგობრობის ძალმოსილება ამით კიდევ ერთხელ შეიგრძნეს პატარა მსახიობებმა.

სკოლის დირექტორი, ლენა ხაჟალია: "დღევანდელი ღონისძიება იყო მეცნიერულად გამართლებული, კორექტული, არაჩვეულებრივი გარემოა, ლამაზი ფორმები, განსაკუთრებული მადლობა მშობელს, ჟუკიანა ფოფხაძეს, რომელიც არის ნაირა მასწავლებლის ქალიშვილი. ამ დღეებში დიდი შრომა გასწია ჟუჟუმ და მას დიდი მადლობა ამისათვის. ასევე მადლობა ყველა მშობელს. სკოლა, ოჯახი, საზოგადოება _ ამ სამი რგოლის უწყვეტობა სახეზეა, ეს მისია დღეს შესრულდა. ყველა როლი იყო ძალიან არტისტულად შესრულებული, უღრმესი მადლობა ამისათვის."

ალექსანდრე თევზაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი: "მადლობა სკოლის დირექტორს და პედაგოგს მოწვევისათვის, ჩვენ ვალდებულნი ვართ, მოვიდეთ და შევაფასოთ ღონისძიებები, როცა საჭიროა, მეთოდური რეკომენდაციებიც გავცეთ, დღეს ამ ბავშვებმა წარმოადგინეს მნიშვნელოვანი ღონისძიება, მადლობა ყველა მშობელს ამ ჩართულობისათვის, მშობელთა თანადგომის გარეშე ვერ იქნება წარმატებული შედეგი, დღევანდელი ღონისძიება იმსახურებს მაღალ შეფასებას, ჩვენ განებივრებულნი ვართ ამ სკოლის კარგი ღონისძიებებით, ავს ავი და კარგს კარგი უნდა დავარქვათ, არასოდეს შევაქებ იმას, ვინც არ არის შესაქები."

საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი, ელიზა ცხვირავაშვილი: "მართლაც მრავალმხრივ შესაფასებელი ინიციატივაა, შეიძლება, ბოლომდე ვერც გადმოგცეთ ჩემი შთაბეჭდილება, ძალიან კარგად მოფიქრებული, მრავალისდამტევი ღონისძიებაა, მშობლებს და მასწავლებლებს დიდი შრომა და ღვაწლი აქვთ ჩადებული, ქალბატონ ნაირას აქვს უზარმაზარი გამოცდილება, ძალიან დახვეწილი და მომხიბლავი სანახაობა იყო! ბავშვები იყვნენ სცენიურები, მუსიკალურები, ძალიან დიდი მადლობა!"

მეთერთმეტე სკოლის დაწყებითების პედაგოგი ეთერ სტურუა: "იმდენი სიტყვა ითქვა, მიჭირს რაიმეს დამატება, წვიმიანი დღე ძალიან გაგვილამაზეთ, მადლობა ყველას, უამრავ გაზაფხულს დაესწარით!"

ჩემი უნივერსიტეტი

შვილის ჭარბი სიყვარული ასწლოვანი მშობლის მიმართ

ლევან გაბეჩავა

მცირეხნიანი შესვენების შემდეგ, რუბრიკა "ჩემი უნივერსიტეტი" გრძელდება.

ქალბატონს, ვის შესახებაც ამჯერად უნდა მოგითხროთ, რუბრიკის სტუმარს ვერ ვუწოდებთ, რამეთუ იგი უკვე, ლამის, სამი ათეული წელია, თავადაა მასპინძელი "სამტრედიის მაცნეს" რესპონდენტთათვის.

ზემო იმერეთში, ხარაგაულის რაიონში დაიბადა. მეცხრე კლასში იყო, როცა გადაწყვიტა, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ესწავლა და ჟურნალისტი გამხდარიყო. საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა და...

არავის გაჰკვირვებია ახალგაზრდა კაფანდარა გოგონა, ნინო ნანიტაშვილი ყველა აბიტურიენტისათვის საოცნებო დედა უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი რომ გახდა.

საზოგადოებრივად საოცრად აქტიურ ქალბატონს კარგად იცნობენ სამტრედიაში.

მიუხედავად იმისა, რომ სამტრედიელების რძალია, კარგად უწყის, თუ სად რა ულხინთ, რა უჭირთ, რომელ სოფელში, უბანში, თემში რა პრობლემებია.

ნინო ტელერადიოპრესკომპანია "ზარის" საინფორმაციო სამსახურის უფროსია, გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" კორესპონდენტი და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მომავალ ჟურნალისტებთანაც მუშაობს.

მანამ კი, ვიდრე იგი "სამტრედიის მაცნეს" ღირსეული კოლექტივის წევრი გახდებოდა, იყო საოცრად საინტერესო წლები მის ცხოვრებაში, როცა წითელ დიპლომზე უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ცენტრალურ გაზეთ "სოფლის ცხოვრებაში" კორესპონდენტად მუშაობდა და ხალისით, საოცარი პასუხისმგებლობით მიემგზავრებოდა ხოლმე თბილისიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჟურნალისტური მივლინებით.

ტელეკომპანია "ზარის" სიუჟეტებიდან, რაიონული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებში შესანიშნავად ჩანს ნინო ნანიტაშვილის ინტელექტი, პროფესიონალიზმი.

ამდენად, ჩვენ ამ თემაზე არ ვისაუბრებთ. ერთი კი აუცილებლად უნდა ითქვას: როგორც ყველა ქართველი ქალბატონისათვის, ჩვენი კოლეგისათვისაც ოჯახი მყუდრო ნავსაყუდელია. მისი ოჯახის თითოეული წევრი უნივერსიტეტელია. მეუღლემ, ბატონმა ბადრი ვაშაკიძემ და შვილებმა, გრიგოლ და გიორგი ვაშაკიძეებმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრეს.

მაშ ასე, უნივერსიტეტის წლებს ნინო ნანიტაშვილი იხსენებს.

ბავშვობიდანვე ვწერდი ლექსებს, ჩანახატებს, მოსწავლეობის პერიოდში ხარაგაულის რაიონულ გაზეთში რამდენიმე წერილიც მქონდა გამოქვეყნებული. ჩემს ირგვლივ მყოფი ადამიანები თვლიდნენ, რომ ჟურნალისტობა ზედგამოჭრილი იყო ჩემი პიროვნებისათვის.

არ დავმალავ, 13 წლის ვიყავი მტკიცედ რომ გადავწყვიტე ჟურნალისტობა. იმ დროს ჟურნალისტიკის ფაკულტეტი მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰქონდა. კვალიფიციური ჟურნალისტი რომ გამხდარიყავი, აუცილებლად ცოდნის ამ თეთრ ტაძარში უნდა გესწავლა.

მქონდა ბედნიერება, უნივერსიტეტის კედლებში 100 წლის აკაკი შანიძეს შევხვედროდი, არაფერს ვამბობ საყოველთაოდ აღიარებულ იმ პროფესორებსა და აკადემიკოსებზე, ლექციებს რომ მიკითხავდნენ, აკადემიურ ცოდნას რომ გვაძლევდნენ.

პირველ კურსზე ვიყავი, 68 წლის უნივერსიტეტმა 100 წლის აკაკი შანიძეს იუბილე რომ გადაუხადა. მახსოვს, როგორ იყო გადაჭედილი პირველი კორპუსის ეზო საზოგადოებით, ინტელიგენციით, დაუვიწყარია მეცნიერის საიუბილეო დღეები.

ის ის იყო, უნივერსიტეტს ვამთავრებდი, როცა ქუთაისში ყოფილმა პედაგოგიურმა ინსტიტუტმა უნივერსიტეტის სტატუსი მიიღო.

თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანატისა და ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორატის შეთანხმების საფუძველზე, რეკომენდაცია მომცეს, ქუთაისის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ლექციები წამეკითხა. რაც ჩემთვის უზარმაზარ ნდობასთან ერთად დიდზე დიდი პატივიც იყო. – გვიყვება ქალბატონი ნინო ნანიტაშვილი და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ, ნოდარ ტაბიძის ხელმოწერით გაცემულ დახასიათებას გვიჩვენებს, რომელშიც ვკითხულობთ:

"...სტუდენტობის პერიოდში ნინო ნანიტაშვილი გამოირჩეოდა დისციპლინითა და აკადემიური მოსწრებით, აქტიურად თანამშრომლობდა რესპუბლიკურ პრესაში, იყო სტუდენტთა სამეცნიერო წრის აქტიური წევრი... დახასიათება ეძლევა ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარსადგენად".

შემოქმედებით წარმატებებს, ოჯახურ ბედნიერებას ვუსურვებთ ნინოს და ვულოცავთ ქართული ჟურნალისტიკის დღეს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

რიწის ტბის პირას

ახლა მე ვზივარ რიწის ტბის პირას და აფხაზეთს ვუყურებ თვალებში. მისი თვალები უწინდელივით არ ლივლივებს, ის ცივია... მეც ცივი ვარ. ამდენი ხნის შემდეგ შეხვედრისას ერთმანეთს თითქოს ვერც ვცნობთ. მე გავიზარდე, ის კი... ის დაპატარავდა... ახლა მე ვზივარ რიწის ტბის პირას და წყალზე არეკლილ საკუთარ სახეს ვუყურებ, თვალებში ოჩამჩირეს ვხედავ. ავხედე ცას და ვიგრძენი ტკივილი სახელად სოხუმი... ახლა მე ვზივარ რიწის ტბის პირას და განვიცდი აქ ყოფნას. მაინც ვერ ვიგრძენი საკუთარი სიმთელე, რადგან მიწა ვარ (და მიწადვე ვიქცევი) და მაკლია ჩემი ნაწილი, როგორც დიდოსტატს მარჯვენა, როგორც თეიმურაზს მარგო, როგორც ტარიელს ნესტანდარეჯანი, როგორც იგის ნი...

ახლა მე ვზივარ რიწის ტბის პირას და ხელები მიკანკალებს, ამას ვერ დავაბრალებ შინაგანი წნევის მერყეობას, ვერც გრილ ნიავს დავაბრალებ სხეულის კანკალს. მე ვიგრძენი ის, რაც 17 წლის წინ უნდა მეგრძნო, მაშინ, როცა აფხაზეთი მელოდებოდა, სხვა ქალაქში დავიბადე. აქ კი ყოველ ნაბიჯზე ოჩამჩირეს ვეძებ. ვენებში ახლაც მესმის ფსოუს ხმაური, ჩემს გულში შავი ზღვა ტალღობს, ოღონდ მთლიანი, წითელი საზღვრის გარეშე.

ახლა მე ვზივარ რიწის ტბის პირას და ირგვლივ დახვრეტილი ჩიტები დაფრინავენ. მე დავინახე, როგორ აშველებდა ერთი ჩიტი მეორეს თავის ფრთას (მაშინ, როცა ორივეს დახვრეტილი ჰქონდა ფრთები). მე აქ ვნახე ცარიელი ტყე.

რომელსაც სულ არ უხარია წელიწადის დროების ცვლა, რადგან ის ბავშვები არ შემოირბენენ აქ, ვისაც ის ელოდება. (მას ჰგონია ასე) მცივა... და ღირსიც ვარ, რომ მცივა, რადგან ამდენ ხანს არ მოვაკითხე ოქუმს. ახლა მე ვზივარ რიწის ტბის პირას და აფხაზეთს ვუყურებ თვალებში. მეშინია, რომ შევძულდები... ამდენ ხანს რომ არ მოვაკითხე, ალბათ, ამიტომ მპასუხობს სიცივით. ის ხომ ჩემი მომავალია, მე კი ის ვარ, ვისშიც ის ხედავს საკუთარ მომავალს. ამით ვგავართ ერთმანეთს მე და ის. კიდევ იმით, რომ ერთი სისხლი გვაქვს, რადგან მასზე ჩემი წინაპრების სისხლია დაღვრილი... გენეტიკურად ჩვენ ერთნაირი აგებულება გვაქვს. ის პატარა ბავშვია ჯერ კიდევ.

იცი, ახლა ვზივარ და ვტირი. ხელი გაგიშვი აფხაზეთო მაშინ, როცა ფეხი აიდგი. შენ ახლა სხვასთან ხარ... და ვტირი, რადგან არ ვიცი, როგორ გექცევიან ჯერ კიდევ პატარას. ვტირი, რადგან შენ ჩემთან გინდა! შენ ელოდები ჩემს მოსვლას, მე კი არ ვიცი, რაღას ველოდი... ამდენ ხანს რომ ვერ გნახე, ალბათ, ამიტომ ვერ მცნობ. ალბათ, ამიტომ ხარ ცივი. მე ვარ... შემომხედე, შენსავით მწვანე მაქვს თვალები. ნახე! გავიზარდე, დედას აღარ დავყავარ ხელჩაკიდებული, მამა აღარ მაძინებს თავის მკლავებში. ნახე! დამოუკიდებლობას ვსწავლობ. მე ხომ ისე გავიზარდე, რომ შენზე მხოლოდ წარმოსახვა და ფიქრები ტრიალებენ თავში. ახლა კი მე ვზივარ რიწის ტბის პირას და მე ვხედავ, რომ ბევრად უფრო ლამაზი ხარ, ვიდრე თქმულებებში, ბევრად უფრო ღრმა ხარ და მე შენამდე ვერ ვაღწევ, რადგან ის წითელი ჯალათები ნაბიჯის გადმოდგმის უფლებას არ მაძლევენ, რომ მოვიდე შენთან. მაგრამ შენ ხომ იცი, შენ იცი რომ მე მოვალ.

იცი, გაზაფული აქ სხვანაირია უშენოდ. ცარიელი, მიუხედავად იმისა, რომ ირგვლივ ყვავდება ყველაფერი, მაინც ვერ ვგრძნობ სილამაზეს.

ახლა გაზაფხულია და მე მცივა. მცივა რადგან რიწის ტბის პირას შენივე ნიავი არ მაძლევს გათბობის უფლებას. მაგრამ იცი, რა? მე გაგათბობ.

მე, სახლში მისულს, მაინც მაწუხებს უსახლობა. საკუთარ ოთახში უცხო ვარ. საკუთარ ქალაქში თავს ზედმეტად ვგრძნობ. მე მიყვარს მატარებლები და ველოსიპედები, მაგრამ იცი? მე შენი სანაპირო მეოცნებება. ზღვა ლურჯზე ლურჯი, ცა კი ცის ფერი. მეოცნებები და გამიგე შენგან სიშორე.

ახლა მე ვზივარ რიწის ტბის პირას და ვეძებ ილორის წმინდა გიორგის. მოქვის დინებას გავყევი და მივხვდი, რომ უნდა დავბრუნებულიყავი უკან, რადგან მენახა ბედია. გზად იმდენი რამ ვნახე, მივხვდი, შენ დედინაცვლის ხელში ძალიან ცუდად ხარ.

სიშორეს მხოლოდ მანძილით ვგრძნობ, რადგან ვილვიძებ სხვაგან და ვიძინებ სხვაგან. ხო, სხვაგან, რადგან მე აქ არ უნდა ვიყო. მაგრამ ვიცი, რატომაც ვარ შენგან შორს, იმიტომ, რომ მიყვარდე იმაზე მეტად, ვიდრე მეყვარებოდი მაშინ, როცა შენთან გავიზრდებოდი.

რამდენი რამ მაკავშირებს, აფხაზეთო, შენთან. შენ ჩემი ნაწილი ხარ, ისევე როგორც მე შენი. შენ მე მჭირდები, რადგან მე შენს გარეშე საქართველო არ ვარ. მე შენს გარეშე კავკასიონს ველარ ვუყურებ თვალებში, (ზე) ცას ველარ ვუსწორებ თვალებს.

მაკლიხარ და მინდა იცოდე, რომ განვიცდი, რომ დილის 5 საათზე შენს სანაპიროზე არ ვარ და არ ველოდები მზის ამოსვლას შენებურს, რადგან მე ლიანდაგების ქალაქში გამომკეტეს და გზა შენამდე შორია.

ახლა ვუყურებ შენს სურათს და მე ვზივარ რიწის ტბის პირას... ასე შორიდან, უხმოდ!..

სალი ბეილი

თუ ცოცხალია, ბოლოლი ვინ იცხოვრე ძმაო!

პიროვნულად იყო "ექსპრესი"

ლევან გაბეჩავა

საინტერესო რესპონდენტს მოვიყვან, კარგი იქნება, წერილს თუ გააკეთებ მის მიერ განვლილი ცხოვრების შესახებო. _ მითხრა, ამას წინათ, შპს "სამტრედიის მაცნეს" დირექტორმა ბატონმა ბეჟან გოგიამ და ...

დიდი ხანია ვიცნობ ბატონ იური სტურუას, თუმცა, რაღა ცნობაა, როცა მისი ნიჭის, ტალანტის, მოხერხების შესახებ არაფერი მცოდნია.

პირველი და მთავარი ისაა, რომ ჩემს წინ იჯდა 80 წლის ჭარმაგი, რომელსაც ნამდვილად არ ეტყობა წლების სიმძიმე.

სათვალეს არ ხმარობს, როგორც იტყვიან, წნევაც "კოსმონავტისა" აქვს და ძალ-ღონეც ძველებურად მოსდევს.

ჯანსაღი ცხოვრების წესს უმადლის ბატონი იური ყოველივეს.

ჰობი და გატაცება მრავლად აქვს, თუმცა, ველოსიპედების ქალაქის მკვიდრისათვის ველოსიპედი ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია. ყოფილი ტანმოვარჯიშე ყოველ დილით, დარსა და ავდარში ველოსიპედით 30 კილომეტრს გადის.

მას შემდეგ კი, რაც 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენები მოხდა, ყოველწლიურად 8 აგვისტოს ველოსიპედით ბათუმში ჩადის და ამგვარად მიაგებს პატივს იმ ადამიანების ნათელ ხსოვნას, აგვისტოს ომმა რომ შეიწირა.

ლამის საუკუნე-ნახევრის ისტორიის მქონე ჩვენი ქალაქის ისტორიაში ლამაზ ფურცლად ჩაიწერა რკინიგზელთა კლუბთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფების არსებობის პერიოდი, თითოეულმა თავისებური ისტორია რომ შექმნეს რკინიგზელთა ქალაქისა.

ბატონი იური სტურუა სამტრედიის სინამდვილეში პირველი გიტარისტია.

_ გიტარაზე დაკვრა ჯემალ ტალაბაძემ მასწავლა, პირველი ორკესტრი, რომელიც სამტრედიაში შეიქმნა "ექსპრესი" გახლდათ, მას გურამ ღოღობერიძე ხელმძღვანელობდა და ასეთი შემადგენლობით იყო დაკომპლექტებული: საყვირი _ დემურ გელაზონია, საქსოფონი _ ოთარ ასათიანი, დასარტყმელი ინსტრუმენტი _ სულიკო კისიევი, კონტრაბასი _ თამაზ დუნდუა, ფორტეპიანო _ ვანო ნინუა, გიტარა _ იური სტურუა, მღეროდნენ და-ძმა ოგანეზოვები, თამაზ მანჯგალაძე და სხვები. რეპერტუარში კი ქართული და რუსული სიმღერები, რომანსები გვქონდაო, იგონებს ჩვენი რესპონდენტი.

შემდეგ ანსამბლი "ექსპრესი" ანსამბლმა "ცისარტყელამ" შეცვალა, ხოლო გიტარისტი იური სტურუა, ასევე გიტარისტმა ბეჟან გოგიამ.

გარდა "ექსპრესისა", იური სტურუა სხვადასხვა საესტრადო ორკესტრის წევრიც იყო.

ლამაზ მოგონებად შემორჩა მის მეხსიერებას ჩაი-მექანიკური ქარხნის ორკესტრ "თაიგულსა" და პირველ სამუსიკოსებურებანი ჯეირან მიმინოშვილს, სერგო კრავეიშვილს, გოჩა ცნობილაძეს, რამაზ თელიასა და სხვა ცნობილ სამტრედიელებსაც შეასწავლა.

მეც ბევრი რამ ვისწავლე ბატონი იურისგანო, _ საუბარში გვერთვება ბეჟან გოგია.

ცალკე სასაუბრო თემაა მხატვრობა, ბატონ იურის 2500-ზე მეტი ნახატი აქვს შესრულებული.

რას ნიშნავს, რითი უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ შესანიშნავ ნამუშევართა უმრავლესობა გაჩუქებული აქვს, თუ არა მისი ჰუმანურობითა და კაცთმოყვარეობით.

არადა, ისეთი ნამუშევრებია, თითოეული იმდენ დროსა და ენერგიას მოითხოვს, რომ უპრობლემოდ გაუწევდნენ კონკურენციას დიდ საგამოფენო დარბაზებში გამოფენილ ტილოებს, ასე აფასებს იური სტურუას ნახატებს ცნობილი მხატვარ-კარიკატურისტი ბეჟან გოგია. ისიც შევიტყვეთ, კურთხევა რომ აქვს მამა ათანასეს (რუხაძე) სულიერ შვილს და რელიგიურ თემებზეც შექმნილი შესანიშნავი ნამუშევრებიც გვიჩვენა რესპონდენტმა.

უქმად იშვიათად ნახავთ ბატონ იურის. უყვარს ოჯახი, შვილი, ორი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი ხანდაზმულობის წლებს ულამაზებენ. მეგობრობა, მეზობლობა, ქართული სუფრა, ებისა.

დავემშვიდობე ჩემს რესპონდენტს და კიდევ ერთხელ ვირწმუნე, რომ ასაკი ვერაფერს დაგაკლებს, თუკი არ დანებდები, არ დანებდები იმ გაგებით, რომ ყოველი წუთი, საათი, დღე გონივრულად უნდა გამოიყენო, თესო სიკეთე, გაასარჯო, გაიხარო სხვათა სიხარულით და სხვებიც გააბედნიერო.

კარს მომდგარ ხარებას, აღდგომას მრავალს დაესწარითო, დაგვლოცა და თამადობის ინსტიტუტი, ერთი სიტყვით, ქართული ადათ-წესები ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ბატონ იურის, კაცს, რომელიც თავადაა ზედმიწევნით დამცველი და დამფასებელი ამ ტრადიციისა. თავადაც თავაზიანად დაგვემშვიდობა.

ჩვენც წინ გავიხედეთ და, სულ რაღაც 10 წლის შემდეგ, ბატონი იური მისი 90 წლის იუბილესთან დაკავშირებულ წერილზე შევთანხმეთ.

"სპორტული სიარულის" დამაარსებელი _ ედვარდ უეტსონი

"სპორტული სიარულის" ფუძემდებლად და ამ სახეობის "მამად" მიჩნეულია ამერიკელი ედვარდ უეტსონი (1839-1929 წლები), რომელმაც 21 წლის ასაკში მეგობართან დადო სანაძლეო იმის შესახებ, რომა ახლო მომავალში პრეზიდენტობას ვერ მოიპოვებდა ლეგენდარული აბრაამ ლინკოლნი (რომელიც შემდგომ ამერიკის შეერთებული შტატების რიგით მე-16 პრეზიდენტი ხდება 1861 წელს). სანაძლეოში დამარცხებული ედვარდი იძულებული გახდა ჩაებარებინა სანაძლეო, რომლის მიხედვითაც იგი ქალაქ ბოსტონიდან ფეხით უნდა გამგზავრებულიყო ვაშინგტონში და ჩაესწრო აბრაამ ლინკოლნის ინაუგურაციაზე. მართლაც, ედვარდ უეტსონმა "სპორტული სიარულის" მეშვეობით ბოსტონიდან ვაშინგტონამდე 770 კილომეტრი დაფარა 10 დღესა და 10 საათში და არა მარტო ჩაუსწრო "სპორტული სიარული" მისთვის ერთგვარ სანაძლეოდაც იქცა. მოგვიანებით მიემგზავრება ევროპაში და იწყებს ფეხით მოგზაურობას. ამ მოგზაურობას მან 8 წელიწადი მოანდომა და მრავალი შეჯიბრებაც მოიგო "სპორტული სიარულით იმდენად გაუვარდა სახელი ხალხში, რომ ედვარდის სანახავად უამრავი ადამიანი მიისწრაფოდა. 69 წლის ასაკში იგი ბრუნდება ამერიკაში და ყველაზე ცნობილმა "ფეხით მოსიარულემ", ნიუ-იორკიდან _ სან-ფრანცისკომდე მანძილი 104 დღის განმავლობაში დაფარა და საერთო ჯამში 6500 კილომეტრი გაიარა. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 70 წლის ასაკში ფეხით სან-ფრანცისკოდან უკანვე ნიუ-იორკამდე დაბრუნებას "სპორტული სიარულით" 77 დღე მოანდომა. ეს საოცარი ადამიანი გარდაიცვალა 90 წლის ასაკში და სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, წელს ქვემოთ მოწყდა, თუმცა, ესეც უბედური შემთხვევის შედეგად, მაშინ, როდესაც 88 წლის ასაკში ნიუ-იორკში ტაქსი დაეჯახა და დააინვალიდა იგი. ედვარდ უეტსენი ფუძემდებელი გახლდათ სრულიად ახალი სპორტული სახეობისა, რომელსაც დღეს "სპორტულ სიარულს" ვუწოდებთ და სპორტის ეს სახეობა "ოლიმპიური თამაშების" განუყოფელ ნაწილადაც მიიჩნევა.

Genia.ge

ახალი ლექსები

მაყვალა ჩირგაძე

არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალების გამო

სამაჩაბლოს მთებს მოუსხამს
მანდილი ფერად შავიო,
მზე ეფარება ღრუბელსა,
წინათგრძნობა აქვს ავიო.
მზისგან ხელდასმულ ვაჟკაცსა
წამოესივნენ სვავები,
აღარც საფლავი აკავებთ
და აღარც სალოცავები.
ქართული მიწის მოსაყდრეს
გადაუმტვრიეს ხელები,
ატირებულა ჭიგოზე
საჯიშე ყურძნის მტევნები.
გუშინ პურს ერთად ვიყოფდით
აფხაზი, ოსი, ქართველი,
სანთლებად ჩამოღვენთილა
''ვეფხვის და მოყმის'' ნაღველი.
დრო მოვა, წყაროდ წამოვა
ტატუნაშვილის სისხლიო,
წყურვილი მოკლავს ცოდვილსა,
თვალთ ჩამოწვება ნისლიო!

უფალმა იცის!

ასე მგონია, ვარ ბეწვი მატყლის,
მჩეჩეს და მჩეჩეს დიდხანს ძალიან,
მერე დამრთეს და მერე მომქსოვეს,
ვიღაცამ მიცნო: _ ეს ხომ ქალია!
და მე მოვედი სამოსად შენდა,
და მე გაგითბე სხეული, სული,
ეს მე ვარ, შენზე დარდით და ფიქრით
რომ არ მედება თვალებზე რული.
ეს მე ვარ ცაზე ნაფლეთი ღრუბლის,
მე ვარ სულ ერთი ნამცეცი მიწის,
როგორ მიყვარხარ და როგორ მტკივა,
მხოლოდ უფალმა, უფალმა იცის!

როგორ ეგუები

ვწევარ პალატაში,
ისევ ზამთარია,
დედა კარებს აღებს,
ველი რა ხანია.
ამოვარდა გული,
მათბობს დედის ხელი,
პალატიდან გაქრა
დამშეული მგელი.
სუნთქვა გაზაფხულის,
ია-იის კონა,
მოკრძალებით დადო,
სულზე მომიფონა.
მუდამ მაიმედებს
მოგონება დედის,
თმაში გაბნეული
ენძელები სევდის.
ნეტავ, ახლა სად ხარ,
როგორ ეგუები,
როგორ ეგუები
უჩემობას დედი!

ირაო

წამით გავედი ხორციდან
ცას შემოვკარი ირაო,
სიმღერაც ავარაკრაკე,
რირა, ორერა, რირაო.
მოვკალ წადილი ნატვრისა,
გამიქიაქდა ტკივილი,
გულით აღმომხდა ნეტარი
შვების მომგვრელი კივილი.
ყველანი მოვინახულე,
წასულნი ცათა შინაო,
კარგიც ყოფილა ხანდახან,
დატოვო მიწად ბინაო.
მესმა ძახილი ზარისა,
გაგემრიელდა მამული,
სახლში ყოფილა ვინც მიყვარს,
ისიც და სხვა სასწაული.
აღარ არსებობს შიშები,
არცა ჭირი და შიმშილი
სიყვარულია მეფე და
გამიადვილდა სიკვდილი.

მე რომ მაცოცხლებს

ჩემთვის ძალიან საყვარელ ადამიანებს

გაფორიაქებს ალბათ ქარებით
გამოგზავნილი ჩემი ფიქრები,
ჩემსავით შენზე ვინღა ილოცებს,
როცა მე უკვე აღარ ვიქნები.
ფოთოლცვენაა, სევდიანია,
ჭადრების ჩუმი აღიღინება,
საით წაგიღებს არსთა გამრიგე,
რომელ ზღვას ერთვის შენი დინება.
ო, როგორ მტკივა სული და ხორცი,
გაფიქრებაც კი მათრთოლებს წამის,
მე რომ მაცოცხლებს, იმ ვარსკვლავისიც,
ციდან მოწყვეტა გარდუვალ არის.

თეთრი ხელთათმანები

რუსთაველზე ქალი მოდის,
თეთრი ხელთათმანებით,
გულში ჩიტბატონათი და
დიდი შავი თვალებით.
სიბარხატე ჰქონდა შორი
ველურ მინდვრის ვარდისა,
რაღაც უცნაური ხიბლი
მზისაცა და მთვარისა.
მოდიოდა, ასხივებდა
სიყვარულის სინათლეს,
ყველა რაღაცას ამბობდა
და არც ერთი სიმართლეს.
ქუჩას დარჩა მოგონება
ფიფქის თეთრი ჩითისა,
თეთრი ხელთათმანებისა
და ბატონი ჩიტისა.

მძიმე დღეების მასპინძლად დავბადებულვარ

მძიმე დღეების მასპინძლად დავბადებულვარ,
მით ოცნებისთვის გამიხსნია გულისკარები,
და რომ მეცხოვრა ვით მათხოვარს მაინც მეფურად
მომიტანია გულისყურით დანაბარები.
მძიმე დღეების, ასე რომ ვთქვათ, გამეტებულად,
და უფრო მეტიც, არავის რომ არ ებრალები,
მაგრამ უბრალოდ, რომ იტყვიან, მაინც გლეხურად
ახსენებ ღმერთს და გაიხსნება გულისკარები.
მძიმე დღეების წუთისოფელს შევჩივლო რაღა,
დასაფიქრებლად დროც არ რჩება მუდმივ ჭიდილში,
მაინც მაფიქრებს, ვინაც ოდეს ხმა აიმაღლა,
როგორც იტყვიან დაეკარგა სიმშვიდე ძილში.

შენი ფიქრები

გულს რომ ენდობა შენი ფიქრები,
მზეს რომ იამებს სულისკვეთება,
და შენ ოცნებად გაიკვირტები,
შენს გულს დარდები გამოეცლება.
აჰ, ეს დღე ისევ საფიქრალია,
მაგრამ ახლოა უღელტეხილი,
მე მახოვს, მახსოვს, ჩემი ვალია,
არ ენთო გულქვად კარჩაკეტილი.

დღე ღამეს გადავაბარე

შავი დღე თეთრმა ღამემ შეცვალა,
მზესთან სულ ახლოს ყოფილა მთვარე,
და მე თითქოსდა აღარ მეცალა,
მეთქვა დღე ღამეს გადავაბარე.
არა, ეს ბრალი არ არის ჩემი.
აღარც კი ვიცი, რაღა ვიღონო,
და ისევ მზესთან კავშირში ვრჩები,
განთიადის ხმა რომ გავიგონო.
და რომ პასუხი დავგმო ცრემლების,'
ოდეს ის გულში აჩენს იარებს,
მწამდეს, ცრემლები შენავედრები,
ქარი რომ სურნელს ვერ უნიავებს.

სად მიქრის წლები

სად მიქრის წლები, ყოვლის შემძლები,
სად მიაქროლებს ჩვენს სულთა ღელვას?
ვის არ აღშფოთებს სურვილის გზნებით,
ოდეს შეიგრძნობს ის დროსთან შეხლას.
რად გვევლინება განცდილ ტკივილად
გამოფხიზლება წინაშე დროთა,
რაღად ვითვლებით დროს მოწყვეტილად
მუდმივ ჭიდილში ბატონთა ორთა?
საყურადღებო გამხდარა ძალზედ,
რომ ჯვარცმულ ქრისტეს ვერ ვამჩნევთ წყენას,
ეკლის გვირგვინით სამეფო კარზედ...
თუმც, აღარც ფიქრობს დღეს გადარჩენას.
ან რას გვპირდება ჯვარზე გაკრული,
რომ ის დღეს სიკვდილს აქ უდარაჯებს?
რომ ცოდვათაგან ტონდაკარგული
იქნებ მოეგოს გონს და გადარჩეს.

დედის ცრემლები

თვალშისაცემი რომ გავხადოთ ბედნიერება
ქრისტე ჯვარზეა გზა და მსახური...
მზე გამოიხმეს ღრუბლებიდან დედის ცრემლებმა,
რომ გაუწიონ დღეს სამსახური.
წუთისოფელი, დედამიწის ყველა სიმძიმე,
აქ იყრის თავს და აქ იძერწება,
დარდს რომ გულიდან ვერასოდეს ვეღარ იცილებ,
უმძიმესია თავის შექცევა,
ნუგეშისმცემლად გაზაფხული მომდგარა კარზე,
აჰ! დაგმანული გულის კარები,
ვინ დაეტევა, ღმერთო ჩემო, ერთ კიდობანზე!
ხმით განწირულით კივის თვალები.

დავით ჩირგაძე

***

რა გიჟია ეს მარტი,
გიჟი, თვალებციმციმა,
ღრუბლებიდან საღამოს
წვიმა გადმოგვიცვივდა.
რა გიჟია თავნება,
სულ არ ნანობს არაფერს,
ხანაც წვიმით გვასველებს,
ხან მზე ამოანათებს.
როგორც ქალი ლამაზი,
ოხერი და ტიალი,
ისე ჩამოიქროლებს
გზებზე კაბის ფრიალით.
ხან ღიმილით გაივლის,
თვალები აქვს მზიანი,
შეიძლება ერთხელაც,
მოკლას ადამიანი.
მისმა მზერამ უხეშმა,
შეიძლება გაგაქროს,
არ გეგონოს, რა უნდა,
საიდუმლო გაგანდოს,
რა გიჟია ეს მარტი,
გიჟი, თვალებციმციმა,
ხანაც წვიმით გვასველებს,
ხან მზე აციმციმა.
ქალო, მარტს ნუ აჰყვები,
მაცდურია ძალიან,
შენი ცვალებადობა,
ნუთუ მარტის ბრალია?

ძველი სახლის ჰანგები

ყოველ დილით ერთ გზას გავალ,
დროც იგივე გამომდის,
ძველ სახლიდან როიალის
ისეთი ხმა გამოდის!
თუ კი დილით იმ ადგილას
მე სიჩუმე ვიგრძენი,
შევჩერდები, რა სჭირს ნეტავ,
არ მასვენებს ფიქრები.
არც ის ვიცი, ვინ აჟღერებს
ამ როიალს ლამაზად,
სევდიანი მელოდიით
გული დამიავადა.
დილას ისე მილამაზებს,
ძველი სახლის ჰანგები,
ალბათ, ერთ დღეს ვერ მოვითმენ,
ჩუმად შევიპარები.
ასე ფიქრში ყოველიდღე
სიხარულით თენდება,
მაგრამ, ოი, საოცრებავ,
იმ ძველ სახლთან
რა ხდება?
გულმა მაინც თავისი ჰქნა,
ვერ გაუძლო იარებს,
მარტოხელა ქალი მოკვდა,
სუყველამ დავიგვიანეთ!
ჩემში თითქოს მოკვდა რაღაც
ცარიელი დამტოვა,
როიალის ჰანგმა ვიგრძენ,
სევდიანად დამთოვა.

თ. ჭანტურია

ფოტო ისტორიას ჰყვება

უყვარდათ და უყვართ სამტრედიაში ჭადრაკი, პატივს სცემენ, გულშემატკივრობენ მოჭადრაკეებს, ახსოვთ ისინი, დიდი წვლილი რომ შეიტანეს ამ გონივრული თამაშის პოპულარიზაციის საქმეში.

ფოტოზე, რომელიც ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტის, ბატონ **რომან ბექაიას** მიერაა გადაღებული გასული საუკუნის 80-იან წლებში, აღბეჭდილი არიან მარცხნიდან: ჟორა შენგელია, ანზორ მაჩიტიძე, ვაჟა მსხილაძე, საჭადრაკო დაფასთან მერაბ არჩვაძე.

ლევან გაბეჩავა

დიდი ჯიხაიშის ყაზბეგის სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექპერსონალი თანაუგრძნობს მასწავლებელ ნინო კოპალეიშვილს დედის

ნანა კოპალეიშვილის

გარდაცვალების გამო.

ლევან გაბეჩავა თანაუგრძნობს ნინო კოპალეიშვილსა და კობა დევიძეს დედისა და სიდედრის

ნანა კოპალეიშვილის

გარდაცვალების გამო.

''საქართველოს რკინიგზის'' დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს ადმინისტრაცია თანაუგრძნობს ამავე სამმართველოს თანამშრომელს, ვახტანგ ბუთეიშვილს დედის

თინა ბუთეიშვილის

გარდაცვალების გამო.

უკვე მესამედ ახალგაზრდული ჟინით

ავტო-მოტო კლუბი "იმერეთი" უკვე 21 წელია, მსგავს შეჯიბრებებს მართავს. იმ დღესაც სამტრედიელი ახალგაზრდები მათი ასაკისთვის ჩვეული დრაივითა და დინამიურობით გამოირჩეოდნენ, რადგან Auto Moto Club Imereti-ს წარმომადგენლობამ მისი დამფუძნებლისა და ღონისძიების ორგანიზატორის, ნიკო შანიძის ინიციატივით, უკვე მესამედ, სამტრედიაში გამართა რალი _ შეჯიბრი ავტორბოლაში. ეს დასავლეთ საქართველოს თასის გათამაშების პირველი ეტაპი გახლდათ. მეორე ეტაპი ქუთაისში გაიმართება და ამ ქალაქშივე დასრულდება მესამე ეტაპით შემოდგომაზე.

მასში მონაწილეობის მისაღებად სამტრედიას სხვადასხვა ქალაქიდან სტუმრობდნენ ავტომრბოლელები, იყვნენ სამტრედიელი მონაწილეებიც. ავტორბოლა ადგილობრივი მერიის კულტურის სამსახურისა და მერის, ვალერიანე ფოცხვერიას მხარდაჭერით გაიმართა. პრიზები სწორედ მერიამ შეიძინა. ახალგაზრდული ჟინით სავსე ღონისძიების დასასრულს გამარჯვებული სამტრედიის მერმა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა დააჯილდოვეს.

"სამტრედიის მაცნე"

დავეხმაროთ მარიამ გეგუჩაძეს!

3 წლის მარიამ გეგუჩაძეს აღმოაჩნდა სიმსივნე. სიმსივნის ადგილმდებარეობისა და სირთულის გამო სასწრაფოდ სჭირდება საზღვარგარეთ ოპერაცია, რომლის ღირებულება შეადგენს 25 000 დოლარს, ოჯახმა ყველანაირი ფინანსური შესაძლებლობები ამოწურა. გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და დავეხმაროთ.

"საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE22;
მიმღების ანგარიშის ნომერი:
GE98BG0000000323288600

"თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22;
მიმღების ანგარიში: GE08TB7649145061100003
მიმღების დასახელება: გეგუჩაძე გალაქტიონ (მარიამი).
პ/№ 37001013362

მაგთიდან, ჯეოსელიდან და ბილაინიდან დარეკეთ ნომერზე 0901701376.

დაელოცოს მარჯვენა

არიან ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ სახელით მოიხსენიებენ, რომლებიც გაჭირვების ჟამს გვახსენდებიან და ყოველთვის ჩვენს გვერდით არიან. ადამიანები, რომლებსაც არასდროს ჰყოლიათ პიარ-მენეჯერები, მაგრამ მაინც ცნობადი, უფრო სწორად, ცნობილი სახეები არიან. ერთ ასეთ ქალბატონზე მინდა მოგახსენოთ, რომელსაც ყველა ოქროსხელებას უწოდებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ჩვენი, ექიმების მარჯვენა ხელია და არა მარტო ხელი, გულიც, იმედიც. ყოფილა შემთხვევა, მძიმე ავადმყოფის საწოლთან ჩემი შეშლილი სახის დანახვაზე ღიმილით უთქვამს: ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება და მინდა გითხრათ, რომ მისთვის არასოდეს უღალატნია ინტუიციას. ეს პიროვნება გახლავთ ქალბატონი კლარა სტურუა-პატარიძე. უბრალოდ მაციკო, თავისი საქმის დიდოსტატი, სიკეთისა და ენერგიის განსახიერება, დიდი ოჯახის მოამაგე დიასახლისი, საუკეთესო დედა და ბებია. მარჯვენას დაგილოცავ ჩემო მაციკო, დაბადების დღეს გილოცავ, (ასაკს შეგნებულად არ ვასახელებ, არც გეტყობა და ქალებს არც გვიყვარს ამის შეხსენება) დიდხანს ჰყოლოდე იმედად შენს ოჯახს, ჩვენს რაიონს, მეც...

პატივისცემით შპს "ბაკურიანის საკვალიფიკაციო" კოლეგა და ამჟამინდელი თანამშრომლების სახელით ქეთევან ფანცულაია

მაცხოვრის შობის ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ ზაქარიას (მესხი) ვულოცავთ დაბადების დღეს. ღმერთმა მოგმადლოთ მშვიდობა, სათნოება, წყალობა და ჯანმრთელობა.

გვეამაყებით და გვიყვარხართ უკეთილშობილესო და უთბილესო მოძღვარო!

ქრისტესმიერი სიყვარულით მრევლი

ელენიკო შენგელიას!

ჩვენო სიხარულო და ჩვენო სინათლევ, თვალებხატულა ელენიკო! გილოცავთ დაბადების დღეს. უკვე ერთი წლის ხარ.

შენი კარგი ქალობით ეამაყოს შენს საყვარელ მშობლებს და ახლობლებს. უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეს!

ღვთისა და სამშობლოს სიყვარული იყოს მეგზური სავალი გზისა შენისა!

ფრიდონ გეგო და ჯეკალი გაბუა

ბატონ გენადი გრიგოლიას!

დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ. უფალმა გაგაძლიეროთ თქვენ და თქვენი ოჯახი.

ბეჭან გოგია

ბატონ მამუკა ფრანგიშვილს!

სახელოვან იუბილეს გილოცავთ, ღირსეულ სამტრედიელსა და ჭეშმარიტ მამულიშვილს.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი!

საზეგადოება "სამტრედიელი"

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა